საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო
გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 77 (97)
შაბათი, 20 აპრილი, 1991 წელი.
ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ

კარი I.
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. არჩევნების საფუძველი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით.

მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები საყოველთაოა: არჩევის უფლება აქვს საქართველოში მუდმივად მცხოვრებ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა.

ის პირნი, რომლებიც მსახურობენ ისეთ სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას, არ მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებში.

არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიურად დაავადებული მოქალაქეები, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფებიან.

მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები პრეზიდენტის არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები პირდაპირია: პრეზიდენტს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ.

მუხლი 5. ფარული კენჭისყრა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ფარული კენჭისყრით ტარდება; კონტროლი ამომრჩეველთა ნების გამოვლენისათვის დაუშვებელია.

მუხლი 6. არჩევნების თარიღი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება ხუთ წელიწადში ერთხელ, 26 მაისს.

მუხლი 7. პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია და მისი ქვემდგომი საარჩევნო კომისიები.

მუხლი 8. მოქალაქეების, პოლიტიკური პარტიების, მათი გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, პოლიტიკურ პარტიებს, მათ გაერთიანებებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის უფლება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებს (პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მოძრაობებს, კავშირებს და ა. შ. ტექსტში შემდგომ „პარტიებს") და საარჩევნო ბლოკებს რომელთა მოქმედება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე ამომრჩეველთა ჯგუფებს განცხადების წარდგენის გზით.

მუხლი 10. არჩევნებთან დაკავშირებული სახელმწიფო ხარჯები

პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. ხარჯების სავარაუდო ოდენობას ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი. არჩევნების დამთავრების შემდეგ, 3 თვის ვადაში, ხარჯების ფაქტობრივ ოდენობას ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილების, გამოყენებისა და ანგარიშის გამოქვეყნების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები საარჩევნო კომისიებს უფასო სარგებლობისათვის გადასცემენ არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად საჭირო შენობებს და მოწყობილობას.

მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო ორგანოები უფასოდ აქვეყნებენ საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილ მასალებს, პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებსა და სხვა მასალებს კანონით დადგენილ ფარგლებში.

მუხლი 11. პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო ფონდები

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატებს შეუძლიათ შექმნან საარჩევნო ფონდები, რისთვისაც მათ უფლება აქვთ გამოიყენონ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა, პოლიტიკურ პარტიათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა, შრომით კოლექტივთა შეწირულობანი.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შემდეგ საარჩევნო ფონდისათვის განკუთვნილი თანხა ჩაირიცხება კანდიდატის საარჩევნო ფონდის საბანკო ანგარიშზე, რომელიც იხსნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესით.

პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო ფონდიდან დასახარჯი თანხის ზღვრულ ოდენობას არჩევნებამდე არა უგვიანეს 30 დღისა ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

არჩევნების დამთავრების შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო ფონდის ნაშთი ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში.

მუხლი 12. საჯაროობა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას საარჩევნო კომისიები ღიად და საჯაროდ ახორციელებენ.

საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მისაცემ შენობებში დასწრების უფლება აქვთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული პარტიების წარმომადგენლებს, პრეზიდენტობის კანდიდატების თითო ნდობით აღჭურვილ პირს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს, ხოლო არჩევნების დღეს ხმის მისაცემ შენობებში საარჩევნო ყუთების დალუქვიდან არჩევნების შედეგების შეჯამების (დამთავრებამდე — პრეზიდენტობის კანდიდატების თითო წარმომადგენელსაც.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშუქებენ პრეზიდენტის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიმდინარეობას. მათთვის გარანტირებულია შეუფერხებელი დასწრება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კრებასა და სხდომაზე.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა არჩევნების შესახებ კანონის დარღვევისათვის

იმ პირებს, რომლებიც ძალადობით, მოტყუებით, მუქარით, მოსყიდვით ან სხვა გზით ხელს უშლიან საქართველოს მოქალაქეს თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და იყოს არჩეული პრეზიდენტად, ეწევიან წინასაარჩევნო აგიტაციას, რომლებიც ერევიან საარჩევნო კომისიების მუშაობაში და ხელს უშლიან საარჩევნო უბნებში ხმის მიცემას, კანდიდატის რეგისტრაციასთან, ხმების დათვლასა და არჩევნების შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას, აქვეყნებენ ან სხვა საშუალებით ავრცელებენ პრეზიდენტობის კანდიდატის პატივისა და ღირსების შემლახავ ცნობებს ან აგიტაციას ეწევიან არჩევნების დღეს, აგრეთვე საარჩევნო კომისიების წევრებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირებს, რომლებმაც გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ არასწორად დათვალეს ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის საიდუმლოება, საარჩევნო კომისიებს არ წარუდგინეს საჭირო მასალები და მონაცემები ან არ შეასრულეს მათი გადაწყვეტილებები, ეკისრებათ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

კარი II.
საარჩევნო ოლქები, საარჩევნო უბნები, საარჩევნო კომისიები, ამომრჩეველთა სიები

მუხლი 14. საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებისათვის საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები იქმნება „რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 15. საარჩევნო კომისიები

საარჩევნო კომისიების სისტემის, მათი ორგანიზაციისა და უფლება-მოსილების განსაზღვრისათვის გამოიყენება „რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი.

მუხლი 16. ამომრჩეველთა სიები

პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობისათვის ამომრჩეველთა კორპუსის დადგენას საფუძვლად დაედება საქართველოს რესპუბლიკაში ბოლო არჩევნებისას შედგენილი ამომრჩეველთა სიები. სიებში ცვლილებები და დამატებები შეიტანება „რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით.

კარი III.
პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენა და მათი რეგისტრაცია

მუხლი 17. პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენა

პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და ამომრჩეველთა ჯგუფებს განცხადების წარდგენის გზით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატად შეიძლება წარდგენილ იქნეს დაბადებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, ოცდათხუთმეტიდან სამოცდაათ წლამდე ასაკისა, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ ბოლო 5 წლისა, მიუხედავად სოციალური, ქონებრივი მდგომარეობის, სქესისა და საქმიანობისა.

ყოველ პარტიას, საარჩევნო ბლოკს და ამომრჩეველთა სულ ცოტა ხუთკაციან ჯგუფს უფლება აქვს წარადგინოს პრეზიდენტობის თითო კანდიდატი. პრეზიდენტობის კანდიდატთა შერჩევის წესს განსაზღვრავენ თავად პარტიები და საარჩევნო ბლოკები.

კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიამ, საარჩევნო ბლოკმა, ამომრჩეველთა ჯგუფმა არჩევნებამდე არა უგვიანეს 32 დღისა განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც მას უფლება აქვს შეაგროვოს მხარდამჭერთა ხელმოწერები. განცხადებას უნდა ერთვოდეს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა, კენჭისყრაზე; მას უფლება აქვს თანხმობა მისცეს რამდენიმე პარტიას საარჩევნო ბლოკს და ამომრჩეველთა ჯგუფს.

განცხადებაში მითითებული უნდა იყოს პრეზიდენტობის კანდიდატის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა და საქართველოში ცხოვრების ვადა, აგრეთვე პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა ჯგუფის პასუხისმგებელი წარმომადგენლის ვინაობა. მას უნდა დაერთოს კანდიდატის დაბადების მოწმობის ასლი. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს პარტიის ხელმძღვანელი პირი (საარჩევნო ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირები), ამომრჩეველთა ჯგუფის ყველა წევრი.

პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა ჯგუფის პასუხისმგებელმა წარმომადგენელმა არჩევნებამდე არა უგვიანეს 23 დღისა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია. მასში უნდა იყოს არანაკლებ 10 000 ამომრჩევლის ხელმოწერა.

თუ პრეზიდენტობის კანდიდატი დამოუკიდებლად წარადგინა რამდენიმე პარტიამ საარჩევნო ბლოკმა და ამომრჩეველთა ჯგუფმა, მხარდამჭერთა საერთო რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ ათი ათასისა.

პრეზიდენტობის კანდიდატების მხარდამჭერთა სიების შედგენის წესი განისაზღვრება „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის 38-ე მუხლით.

მუხლი 18. პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია

პრეზიდენტობის კანდიდატს რეგისტრაციაში ატარებს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე არა უგვიანეს თორმეტი დღისა.

მხარდამჭერთა სიების შემოწმებას ცენტრალური საარჩევნო კომისია ამთავრებს არჩევნებამდე არა უგვიანეს 18 დღისა და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ატყობინებს პასუხისმგებელ წარმომადგენელს. მხარდამჭერთა სიების შემოწმების წესს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია და არჩევნებამდე არა უგვიანეს 32 დღისა აქვეყნებს მას რესპუბლიკურ გაზეთებში.

თუ სიების შემოწმების შედეგად ნამდვილად ცნობილი ხელმოწერების რაოდენობა 9 000-ზე ნაკლები აღმოჩნდა, კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო თუ მათი რაოდენობა 10 000-ზე ნაკლები, მაგრამ 9 000-ზე მეტი აღმოჩნდა, პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენელს წინადადება ეძლევა ხუთი დღის ვადაში შეაგროვოს დამატებითი ხელმოწერები. მათი ნამდვილობის შემოწმებას კომისია ამთავრებს არჩევნებამდე არა უგვიანეს 12 დღისა. თუ ამ სიების შემოწმების შედეგად ნამდვილად ცნობილი ხელმოწერების რაოდენობა კვლავ 10 000-ზე ნაკლები აღმოჩნდა, კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება.

პრეზიდენტობის კანდიდატის თანხმობაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ არჩევის შემთხვევაში იგი მხოლოდ პრეზიდენტის ხელფასს მიიღებს.

ზემოთ ჩამოთვლილი საბუთების წარმდგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია აძლევს ცნობას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საბუთების მიღების თარიღი და დრო.

კანდიდატთა რეგისტრაციის შემდეგ 2 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენელს ან კანდიდატებს გადასცემს კანდიდატთა მოწმობებს.

კანდიდატების გვარები ინომრება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მათი მხარდამჭერთა სიების წარდგენის რიგის მიხედვით და ქვეყნდება პრესაში რეგისტრაციის დამთავრებიდან 3 დღის ვადაში. ამავე ვადაში ქვეყნდება იმ კანდიდატთა სია, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე, აგრეთვე უარის თქმის მიზეზები.

მუხლი 19. კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება, კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა

პარტიას საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა ჯგუფს უფლება აქვს კანდიდატის რეგისტრაციამდე ნებისმიერ დროს გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის შესახებ. მის კანდიდატურას მოხსნის ცენტრალური საარჩევნო კომისია პარტიის ხელმძღვანელი პირის (საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის ხელმძღვანელ პირთა, ამომრჩეველთა ჯგუფის ყველა წევრის) მიერ ხელმოწერილი განცხადების საფუძველზე.

კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

ინფორმაციას ზემოაღნიშნულის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისია აქვეყნებს განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში, ხოლო თუ არჩევნებამდე ოთხ დღეზე ნაკლებია დარჩენილი — დაუყოვნებლივ.

კარი IV.
არჩევნების მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები

მუხლი 20. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები უზრუნველყოფილია „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

კარი V.
ხმის მიცემა

მუხლი 21. საარჩევნო ბიულეტენი

საარჩევნო ბიულეტენის ფორმას განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საარჩევნო ბიულეტენში პრეზიდენტობის კანდიდატები შეაქვთ წარდგენის რიგის მიხედვით.

ბიულეტენში მითითებული უნდა იყოს პრეზიდენტობის კანდიდატის სახელი, გვარი, დაბადების წელი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა) სამუშაო ადგილი, პარტიულობა, პრეზიდენტობის კანდიდატის წარმდგენი პარტიის (საარჩევნო ბლოკის) დასახელება; თუ კანდიდატი ამომრჩეველთა ჯგუფის განცხადების საფუძველზეა წარდგენილი, უნდა დაიწეროს „დამოუკიდებელი".

საარჩევნო ბიულეტენებს ბეჭდავს ცენტრალური საარჩევნო კომისია ქართულ ენაზე, აფხაზეთისათვის — ქართულსა და აფხაზურ ენებზე, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, საარჩევნო ოლქის მოსახლეობის რომელიმე ნაწილისათვის გასაგებ სხვა ენაზეც.

საარჩევნო ბიულეტენები ზუსტ აღრიცხვას ექვემდებარება. ცენტრალური და მისი ქვემდგომი საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ბიულეტენების გადაცემას არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა. ყოველ საოლქო (ტერიტორიულ, ადგილობრივ) საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს შესაბამის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობაზე დაახლოებით ხუთი პროცენტით მეტი ბიულეტენი. ბიულეტენების მიღებას ხელმოწერით ადასტურებს კომისიის თავმჯდომარე მისი მოადგილე ან მდივანი.

მუხლი 22. ხმის მიცემის წესი

ხმის მიცემის დრო, ადგილი, მისი მოწყობა განისაზღვრება „რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

ამომრჩეველმა ბიულეტენში უნდა შემოხაზოს პრეზიდენტობის იმ კანდიდატის რიგითი ნომერი, რომელსაც აძლევს ხმას.

კარი VI.
არჩევნების შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლინება

მუხლი 23. ხმების დათვლა საარჩევნო უბნებში

ხმების დათვლისას დაცული უნდა იყოს შემდეგი თანამიმდევრობა:

1) ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისია ითვლის და პაკეტად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს. პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა; მას ხელს უნდა აწერდნენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი;

2) ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, აგრეთვე არჩევნების მონაწილეთა ანუ იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც მიიღეს ბიულეტენები;

3) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს ბეჭდის მთლიანობას საარჩევნო ყუთებზე. ხსნის მათ და ამოწმებს ყუთებში საკონტროლო ფურცლის არსებობას;

4) კომისია ითვლის ყუთებში არსებული ბიულეტენების ანუ ხმის მიცემის მონაწილეთა რაოდენობასა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას (ბათილად ცნობენ დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენებსა და ბიულეტენებს, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია დადგინდეს, თუ ვის მისცა ხმა ამომრჩეველმა. ყველა სხვა შემთხვევაში ბიულეტენი ნამდვილად ითვლება). ბათილად ცნობილი ბიულეტენები ცალკე კონვერტებში იდება და იმგვარად იბეჭდება, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს ბიულეტენების ამოღება ან ჩადება. კონვერტებს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მასში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა;

5) კომისია ახარისხებს ბიულეტენებს და ცალ-ცალკე ითვლის ყოველი კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენებზე ისევე უნდა ჩაიწყოს, როგორც მეოთხე პუნქტშია მითითებული;

6) საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე განიხილავს და ოქმში შეიტანს ხმების დათვლის შედეგებს. ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები. მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი;

7) ოქმის პირველ ცალს და ყველა საარჩევნო ბიულეტენს დაუყოვნებლივ უგზავნიან შესაბამის საოლქო (ტერიტორიულ, ადგილობრივ) საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესით, მეორე ცალი ინახება თვით საუბნო საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს წარდგენილი კანდიდატების წარმომადგენლებს.

საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს კენჭისყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია.

მუხლი 24. ხმების დათვლა საარჩევნო ოლქში

საოლქო (ტერიტორიული, ადგილობრივი) საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ადგენს გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობას, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საარჩევნო ოლქში, არჩევნების მონაწილეთა, ხმის მიცემის მონაწილეთა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას.

საოლქო (ტერიტორიულ, ადგილობრივ) საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს იმ საარჩევნო უბნებში, სადაც მოხდა ამ კანონის უხეში დარღვევა. საჩივარი ასეთი დარღვევების შესახებ საოლქო (ტერიტორიულ, ადგილობრივ) საარჩევნო კომისიას შეიძლება წარედგინოს არა უგვიანეს არჩევნების მომდევნო დღისა.

საოლქო (ტერიტორიული, ადგილობრივი) საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ამტკიცებს არჩევნების შედეგებს და ადგენს ოქმს.

ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყველა ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები. მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

ოქმის პირველი ცალი და გამოუყენებელი ბიულეტენები არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირებს.

მუხლი 25. არჩევნების შედეგების დადგენა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ. გამარჯვებული კანდიდატის გამოვლინება

ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო (ტერიტორიული, ადგილობრივი) საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ადგენს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საქართველოში, არჩევნების მონაწილეთა რაოდენობას, ხმის მიცემის მონაწილეთა, თითოეული კანდიდატისათვის მიცემული ხმებისა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას.

პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც მიიღებს არჩევნებში ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს.

პრეზიდენტის არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა.

თუ არჩევნები ჩატარებულად არის ცნობილი, წარდგენილი იყო პრეზიდენტობის ორზე მეტი კანდიდატი, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიიღო ხმის მიცემის მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი, ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს. არჩევნების მეორე ტური ეწყობა ორი კვირის ვადაში.

თუ არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა, პირველი ტურის ჩატარებიდან ორი თვის განმავლობაში ეწყობა ხელახალი არჩევნები.

ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების ჩატარებიდან 5 დღის ვადაში თავის სხდომაზე აჯამებს არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქების მიხედვით და შეაქვს ოქმში.

ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს ბიულეტენში შეტანილი კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები, მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

ოქმის პირველი ცალი ინახება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს კანდიდატების წარმომადგენლებს.

შედეგების შეჯამებიდან ხუთი დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ.

კარი VII.
არჩევნების მეორე ტური. ხელახალი არჩევნები

მუხლი 26. არჩევნების მეორე ტური

არჩევნების მეორე ტური ეწყობა იმ შემთხვევაში თუ წარდგენილი იყო პრეზიდენტობის ორზე მეტი კანდიდატი, არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალა, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოაგროვა ხმის მიცემის მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი.

მეორე ტური ტარდება ორი კვირის ვადაში და მასში მონაწილეობის უფლება აქვს იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც პირველ ტურში მიიღეს ყველაზე მეტი ხმა.

მეორე ტურში არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა.

არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეორე ტურში მეტ ხმას მიიღებს.

მეორე ტურში კანდიდატების მიერ ხმათა ტოლი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა იმ კანდიდატს, რომელმაც პირველ ტურში უფრო მეტი ხმა მოაგროვა.

მუხლი 27. ხელახალი არჩევნები

ხელახალი არჩევნები ეწყობა იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკაში არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა, ე. ი. მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლებმა ანუ თუ არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალა, წარდგენილი იყო ერთი ან ორი კანდიდატი და არც ერთი მათგანი არ იქნა არჩეული.

ხელახალი არჩევნები ტარდება პირველი ტურის ჩატარებიდან ორი თვის განმავლობაში.

პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებიც მონაწილეობდნენ არჩევნების პირველ ტურში, აგრეთვე ამომრჩეველთა ჯგუფებს ამ კანონით დადგენილი წესით.

ხელახალი არჩევნების დროს საარჩევნო ღონისძიებანი ტარდება ამ კანონით დადგენილი წესით ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 18 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 1991 წლის 23 აპრილს, 10 საათზე, უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია დაიწყება 8 საათსა და 30 წუთიდან.

შიდა ქართლი

ვითარება სამაჩაბლოში

18 და 19 აპრილს ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში შედარებით სიმშვიდე იყო, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს რეგიონში ვითარების განმუხტვას. შეგვატყობინეს, რომ ქართული სოფლების მოსახლეობა განიცდის ფქვილისა და სხვა პროდუქტების ნაკლებობას.

როგორც ვიუწყებოდით, 13 აპრილს სსრ კავშირის შინაგანი ჯარის ნაწილს და საქართველოს მილიციის დროებით შტაბს ცხინვალის შესასვლელში თავს დაესხა ოს ექსტრემისტთა ჯგუფი. იმავე დღეს დააკავეს 7 ექსტრემისტი. ამ დღეებში გაირკვა მათი ვინაობა, რამაც ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ სამაჩაბლოში ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოსულია ბანდიტთა დიდი რაოდენობა. დაკავებული 7 ბანდიტიდან 4 — ვლადიმერ მალდიგოევი, ბორის ტუაევი, არტურ ჯიოევი და თეიმურაზ გოგიჩაევი ჩრდილოეთ ოსეთის მცხოვრებლები არიან, სამი — საქართველოს მკვიდრია. ოღონდ დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ამ სამიდან მხოლოდ ერთი — ჯიოევია სამაჩაბლოს, კერძოდ, ყორნისის რაიონის მკვიდრი. დავით ხაჩიროვი გორის რაიონიდან ჩავიდა. დავით კაზენოვი კი ქარელის რაიონის სოფელ ზღუდერიდან ამ ექვსი თვის წინ ჯერ ვლადიკავკაზში გადავიდა, შემდეგ კი იქიდან დაბრუნდა სამაჩაბლოში ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად.

შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ სამხედროების მიერ დაკავებული 19 ოსი ექსტრემისტიდან უკვე გაათავისუფლეს 11, მაშინ როცა დაკავებული 23 ქართველი, რომელთაგან ორი მილიციის თანამშრომელია და ერთი კურსანტი, კვლავ დაპატიმრებული ჰყავთ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი შტაბის უფროსმა, მილიციის პოლკოვნიკმა ვანო ნაზღაიძემ შეგვატყობინა: კომპარტიის საოლქო კომიტეტმა (რომელსაც ეროვნული ხსნის კომიტეტსაც უწოდებენ) ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორად დანიშნა ოსი ექსტრემისტი, კომპრომეტირებული პიროვნება რობერტ ბიაზროვი. ამავე კომიტეტმა ცხინვალის რაიონის პროკურორად დანიშნა არონ ფუხაევი, ხოლო რაიონის მილიციის უფროსად იური ძაგოევი, მაშინ როცა რაიონს ჰყავს კანონიერად დანიშნული პროკურორი დავით კეკენაძე და რაიმილიციის უფროსი ვახტანგ გოგიძე.

18 აპრილს დავით კეკენაძემ მოიწვია ცხინვალის რაიონის სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა ოპერატიული თათბირი, რომელზეც დასახეს შექმნილ სიტუაციაში მოქმედების ღონისძიებები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

ოკუპანტები

კიდევ ერთხელ სამხედრო გაწვევის შესახებ

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭომ, რომელმაც განიხილა საბჭოთა არმიაში საგაზაფხულო გაწვევის ორგანიზაციის საკითხი თავის მორიგ სხდომაზე... საქართველოს სამხედრო კომისარიატებს, არც მეტი, არც ნაკლები, მიუთითა „სუსტ ორგანიზატორულ საქმიანობაზე, ნაკლოვანებებზე მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძებნაში".

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ოლქის ხელმძღვანელობას არაფერი სმენოდეს იმ საკანონმდებლო აქტებზე, რომლებიც მიიღეს როგორც საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ, ისე საქართველოს რესპუბლიკის ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებლების საბჭოთა არმიაში გაწვევისა და ალტერნატიული სამსახურის საკითხებზე. იქნებ ოლქის შტაბში არც საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის ამბავი გაუგიათ, რომელმაც თავისი ეროვნული გვარდია შექმნა?

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ნ. ზვინჩუკოვი, რომელიც „ძველი კეთილი" ტრადიციების თანახმად აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ გასაწვევთა რიცხვი, გაწვევას რომ არიდებენ თავს, შორსმჭვრეტელურად წინასწარმეტყველებს: „ნეგატიურ პროცესთა ანალიზი ცხადყოფს, რომ შესაძლებელია მისი ზრდა 1991 წელს". რას იზამ, სამართლიანი წინასწარმეტყველებაა. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ მცხოვრებლები საქართველოსი, რომელმაც თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა, ცხოვრობენ საკუთარი კანონებით, უარს იტყვიან იმ არმიაში სამსახურზე, მოსკოვიდან რომ ხელმძღვანელობენ. მაშასადამე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბში გაუგიათ, თუ რა კანონები მიიღო რესპუბლიკამ? მაგრამ, მაშინ, ფარული საჯაროობის ვითარებაში, როგორც ახლა მოდაში შემოვიდა, რატომ არ გამოიტანენ საყოველთაო სახალხო განხილვისათვის თავიანთ არგუმენტებს, საქვეყნოდ რატომ არ მოუსმენენ მეორე მხარესაც? და არ შეიგნებენ ერთხელ და სამუდამოდ, თუ რატომ „არის ისეთი შემთხვევები, როცა რაიონულმა სამხედრო კომისარიატებმა საერთოდ აარიდეს თავი ამ მუშაობას და მოახდინეს კონსოლიდაცია ანტიარმიულად განწყობილ დაჯგუფებებთან?".

ჯერჯერობით კი ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამხედრო კომისრებს კვლავ წერილობით ეძლევათ ბრძანება მიმდინარე წლის აპრილში კიდევ ერთხელ განიხილონ და გააანალიზონ შარშანდელი სამემოდგომო გაწვევის შედეგები, განიხილონ ისინი რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან და სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" სსრ კავშირის კანონის შესრულებისადმი კონტროლისათვის მიმართონ რესპუბლიკების პროკურატურებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს და ა. შ. სამხედრო საბჭოს დადგენილებების კატეგორიულობა და ლაკონიურობა ენათესავება იმ ბრძანებებს, რომლებიც, საბჭოთა არმიის წესდების თანახმად, უნდა შესრულდეს უსიტყვოდ და უყოყმანოდ. „1991 წლის გაწვევის დადგენილი განაწესი უნდა შესრულდეს", „მნიშვნელოვანია ის, რომ პრინციპული შეფასება მიეცეს გაწვევისაგან თავის არიდების შემთხვევებს"...

მაგრამ, თუ ადგილობრივი ხელისუფლები უარს ამბობენ საბჭოთა არმიაში გაწვევაზე? ასეთი შემთხვევისთვის გათვალისწინებულია ორიგინალური ღონისძიებები — „მოეწყოს მუშაობა გასაწვევ კომისიებში შემცირებული შემადგენლობით". კი, მაგრამ, რამდენ კაცამდე შეიძლება ამ კომისიების შემცირება, თუ არ დარჩება იმათი საკმარისი რაოდენობა, ვინც თავისი სურვილით ჩაუგდებს ხელში თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს „ძველ ბიჭებს"? სამამდე ხომ არა? ჩვენს ისტორიაში ხომ იყო პრეცედენტები, როცა იმ თანამდებობის პირთა შემადგენლობა, რომლებიც ადამიანთა ბედს წყვეტდნენ, ყბადაღებულ „სამეულებამდე" მცირდებოდა. საინტერესოა, რომ ასეთი „მინი-კომისიების" შექმნისათვის რეკომენდებულია მოიზიდონ „საბჭოთა და საზოგადოებრივი მუშაკები, რომლებიც დარჩნენ ფედერალიზმის პოზიციებზე, აგრეთვე ის ოფიცრები, რომლებიც ახლახან დაითხოვეს თადარიგში და გადადგნენ".

როგორც ჩანს, სწორედ ისინი განახორციელებენ სამედიცინო შემოწმებასაც — რადგან ექიმებზე ამ რეკომენდაციაში კრინტსაც არ ძრავენ.

ამასთან დაკავშირებით იბადება ბუნებრივი კითხვები: ვის თუ არა ოლქის სამხედრო საბჭომ, რომ საქართველოში აღარ არსებობს საბჭოთა სტრუქტურები და, მაშასადამე, მათი მუშაკებიც? რომ ახლახან თადარიგში გასულმა და გადამდგარმა საქართველოს მკვიდრმა ოფიცრებმა შექმნეს თავიანთი კორპუსი, რომელიც ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე დგას?

ალბათ, გაწვევას ვერ დაეხმარება ვერც ისეთი „ახალი" აზრი, როგორიცაა „აქტიური მონაწილეობა გასაწვევებსა და მათ მშობლებთან ახსნა-განმარტებით მუშაობაში". ვის და რა უნდა განუმარტოთ კიდევ ერთხელ ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც მისი უზენაესი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები უზენაესად ითვლება?

ვლადიმერ თავაძე,
საქინფორმი.

გაზეთ „პრავდის" რედაქციას

საბჭოთა კავშირის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მათ შორის თქვენი გაზეთის მიერ გაჩაღებული ფართომასშტაბიანი, პოლიტიკურად მიმართული ცილისმწამებლური კამპანია საქართველოს რესპუბლიკის ხალხის მიმართ, რომელმაც ცენტრის სურვილის წინააღმდეგ თავისი დამოუკიდებლობის დაბრუნება გაბედა და სახელმწიფოებრიობის აღდგენა გამოაცხადა, ჩვენთან რესპუბლიკაში უკვე აღარავის უკვირს. სიცრუე სიცრუეა, მაგრამ როცა იგი ღვარძლსა და ველიკოდერჟავულ შოვინიზმშია გარეული, ორმაგად სახიფათოა. მაგრამ 15 და 16 აპრილს „პრავდაში" თქვენი სპეციალური კორესპონდენტების გ. ოვჩარენკოსა და მ. სკურიხინას პუბლიკაციები ფაქტების ფალსიფიკაციისა და დამახინჯების შესაძლებლობათა ყველა ზღვარს სცილდება. მეტიც, ტექსტში პირდაპირი მოწოდებაა კანონიერად არჩეული ხელისუფლების გადასაყენებლად და ეს კეთდება „უფროსი ძმის" პოზიციებიდან, რისი უფლებაც მას არა აქვს და არც არავის მიუნიჭებია.

გასაგებია, რომ გაზეთი „პრავდა" იმ ძალების პოლიტიკური ნება-სურვილის გამომხატველია, რომლებიც რეალობის მიუხედავად, ისტორიის მიმავალი მატარებლის მუხრუჭს ჩასჭიდებიან და მთელი ძალით ცდილობენ შეაჩერონ საბჭოთა კოლონიური იმპერიის დაშლის პროცესი. ისიც ნათელია, რომ ასეთი გაზეთის თანამშრომლები დეზინფორმაციას, სიყალბესა და სიცრუეს გვერდს ვერ აუვლიან. მაგრამ სხვა ყველაფერთან ერთად ჟურნალისტური ეთიკაც ხომ არსებობს, ადამიანური სინდისი, ბოლოს და ბოლოს?

15 აპრილს სტატიაში „კვლავ სისხლი და უბედურება" ერთადერთი მართალი ფრაზაა, რომ „იღუპება ხალხი, მაგრამ არა ისინი, ვინც მათ იარაღი ააღებინა ხელში". ეს ნამდვილი ჭეშმარიტებაა, რომელსაც სპეც. კორესპონდენტების დამსახურებად ვერ მივიჩნევთ. ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ხომ დღესავით ნათელია, რომ ყოფილ ავტონომიურ ოლქში მოვლენები ცენტრის მიერაა ინსპირირებული ძველი და ცნობილი იმპერიული ფორმულის მიხედვით: „დაყავი და იბატონე" და ერთი მიზანი აქვს: მრავალწახნაგოვან მარწუხებში მოაქციოს თავისუფლებისმოყვარე რესპუბლიკა. ამ მარწუხების ერთ-ერთი წახნაგია ამ რეგიონში მომხდარი მოვლენების ტენდენციური გაშუქება და დეზინფორმაცია. ამასვე ემსახურება საეჭვო ფოტოილუსტრაციებით შელამაზება, რაც თანაგრძნობის ღიმილს იწვევს მათი ავტორების წარუმატებელი ცილისწამების გამო. თუ გ. [illegible] და მ. სკურიხინას [illegible] აპარატით, ასეთი პრე-[illegible] სახელწოდების მქონე [illegible] გაზეთს ეს არ შეეფე-[illegible]

[illegible] „პრავდაში" დაბეჭ-[illegible] პუბლიკაციებისა და ფოტო-[illegible] ავტორებისეული ინტერპრეტაციის პოლიტიკურ არსში ჩაუღრმავებლად შევხედოთ მათ თქვენი გაზეთის რიგითი მკითხველის თვალით, თუ თქვენ მას, რა თქმა უნდა, გულუბრყვილობით იდიოტად არ თვლით. გაოცებას იწვევს მთელი კომპოზიციის, კერძოდ კი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა პირადობის მოწმობებისა და ორი დაჭმუჭნული ქაღალდის ფოტომონტაჟი.

ჯერ ერთი, პატივცემულო რედაქციავ, თქვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დაუკითხავად რეგიონში შეყვანილმა სპეცდანიშნულების ნაწილებმა საყოველთაო ნადირობა გამოაცხადეს რეგიონში კანონიერად მყოფ ქართული მილიციის თანამშრომლებზე. მათ აკავებენ, სატაბელო იარაღსა და პირადობის მოწმობებს ართმევენ. ამიტომ პუბლიკაციის ავტორებს განსაკუთრებული სიმამაცისა და შრომის გამოჩენა არ დასჭირდებოდათ პირადობის მოწმობათა გადასაღებად. აი, ამ პიროვნებათა გვარებისა და სამუშაო ადგილის აღნიშვნა კი აუცილებელი იყო. მათ ეს შეგნებულად არ გააკეთეს (სიმამაცე არ ეყოთ), რადგან ესმოდათ, რომ ცილისწამებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებოდათ. თქმა იმისა, რომ ორი დაჭმუჭნული ქაღალდის ნაგლეჯი თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან ვადაზე ადრე განთავისუფლების ცნობებია, სულ ცოტა, გულუბრყვილოა და სასაცილო. მათზე ხომ არაფრის გარჩევა არ შეიძლება. უკეთესი ხომ არ იქნებოდა დამნაშავეთა დემოგრაფიული მონაცემებისა და იმ დაწესებულების ნომრის გამოქვეყნება, რომელმაც ვადაზე ადრე გაათავისუფლა ისინი. ალბათ, მათი უწინდელი საცხოვრებელი ადგილის მითითებაც იყო საჭირო. იქნებ ისინი მართლაც გაათავისუფლეს და ამ ცნობებით შინ დაბრუნდნენ. ხოლო რა კავშირი ჰქონდათ მათ მილიციის ოფიცრებთან, ამის დადგენა მხოლოდ წინასწარ გამოძიებას შეუძლია, საბოლოო ვერდიქტისა კი — სასამართლოს. ასე რომ პუბლიკაციის ავტორთა მონაგონი, რომელშიც ბრალს სდებენ მილიციის ოფიცრებს დანაშაულებრივ სამყაროსთან კავშირსა და ბანდიტიზმში, უბრალოდ თავხედური ცილისწამებაა, რომლისთვისაც მათ სამართლებრივი პასუხი უნდა აგონ.

მეორე სურათი საერთოდ გაურკვეველია. თუ ეს „ექსტრემისტთა ბანდაა", ნივთიერი სამხილით დაკავებული, მაშინ რატომ ჰკიდია მილიციის თანამშრომელს ავტომატი? უფრო მეტ გაკვირვებას იწვევს ხანში შესული არენდატორისა და მისი დამცველი „თავდაცვის რაზმის წევრის" სურათი. ნება გვიბოძეთ შევეკითხოთ გ. ოვჩარენკოსა და მ. სკურიხინას, რა „თავდაცვის რაზმები" მოქმედებს ცხინვალში, ვინ შექმნა და შეაიარაღა ისინი? და რატომ დასდევენ სპეცდანიშნულების რაზმები ქართულ მილიციას ასე მარჯვედ შვეულმფრენებისა და საჯავშნო ტექნიკის გამოყენებით, ართმევენ მას სატაბელო იარაღს? ამ თქვენს სურათზე გამოსახულ ავტომატიან „თავდაცვის რაზმის წევრს" თქვენი საპატიო ესკორტიდან რატომ არავინ ჩამოართვა ავტომატი და არ ჰკითხა, საიდან აქვს იგი „თავდამცველს"? ანალოგიური კითხვა „თავდამცველს" არც „პრავდის", არც „სოვეტსკაია როსიას", არც საკდესის ჟურნალისტებმა არ დაუსვეს. ეს იმაზე ხომ არ იძლევა პასუხს, ვინ დგას ოსი ბანდიტების უკან, ვინ მართავს მათ დანაშაულებრივ ქმედებებს? ხოლო რაც გ. იურიჩენკოს შეეხება, მისი თავის ფასი ჩვენთვის ცნობილი არ არის. არც ისაა ჩვენთვის ცნობილი, ვინ შეაფასა იგი. იქნებ იგი მართლაც 50 ათასი ღირს, მაგრამ არა დოლარი (ვალუტა ჩვენთვის გვჭირდება) არამედ დაფლეთილი, ჯანგამოცლილი საბჭოთა მანეთი, რადგან იურიჩენკოსა და მის მხარდამჭერთა მოქმედებები 1918-1921 წლების წითელი ბანდების თავდასხმებს მოგვაგონებს. თანაც ისინი უპატიოსნოდ თამაშობენ, დაწინწკლებული ბერეტებით, ანუ დანიშნული ბანქოთი. რომელ ყვავილებზე გაძლევთ სინდისი უფლებას ილაპარაკოთ 1989 წლის 9 აპრილს ქართველი ხალხის მიერ ტრაგედიის ადგილზე დაწყობილი ზღვა ყვავილების შემდეგ, სადაც იურიჩენკოსთანა მუსიკოსებმა სისხლიანი სასაკლაო მოაწყეს. ვინ ილოცებს მათთვის, ვინც შეურაცხყო და დაწვა წმინდა გიორგისა და წმინდა სამების მართლმადიდებლური ეკლესიები ქარელის რაიონის სოფელ დვანში, რომელიც საგანგებო მდგომარეობის ზონის გარეთ მდებარეობს და ამის შემდეგ თქვენ მდგომარეობის ნორმალიზაციაზე ლაპარაკობთ? გაზეთ „პრავდის" პუბლიკაციის არსი, მისი დამრიგებლური ტონი, სამედიატორო მოსამართლის როლში გამოსვლის მცდელობა გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ საქართველოს ამბების გარშემო სპეციალურად იქმნება ისტერია განსაზღვრული საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად იმისათვის, რომ გაამართლოს ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი შემდგომი დიქტატორული ნაბიჯები ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, შეიარაღებული აგრესია. ეს ხომ დღესავით ნათელია. ამიტომ პუბლიკაციის ავტორთა მიერ პირველად დემოკრატიულ მრავალპარტიულ საფუძველზე არჩეულ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადანაშაულება დიქტატურისკენ სწრაფვაში სხვა არა არის რა, თუ არა ის, ანდაზაში რომაა — ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო.

ყველა ეს პუბლიკაცია მდგომარეობის ნორმალიზაციამდე კი არ მიგვიყვანს, არამედ გაამწვავებს ისედაც უაღრესად რთულ სიტუაციას, რომელსაც შეუძლია გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს, რასაც ცდილობენ იმპერიული ძალები. მთელი პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში ცენტრსა და მისი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკისრებათ. ამას კი ღმერთი და ისტორია არ გაპატიებთ.

დილარ ხაბულიანი,
საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი.

პოლიტიკა

საქართველო მსოფლიო სტრუქტურებში

როგორც კი გამოიკვეთა ჩვენი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, როგორც კი ჩვენმა ბრძოლამ მიიღო ჯერ მასობრივი, შემდეგ ოფიციალური ხასიათი, მაშინვე წამოტივტივდა, ადრე მიჩქმალული, ჩვენივე მომავალი არსებობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პრობლემა — საქართველოს ადგილი მსოფლიო სტრუქტურებში.

ეს ბუნებრივი პროცესის გარკვეული ლოგიკური დაგვირგვინებაცაა, რომელსაც ქართული პოლიტიკური აზროვნებისათვის საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება და მალე კარდინალურ საკითხადაც მოგვევლინება. უფრო მეტიც, რაც უფრო მეტად გამოვლინდება ჩვენი დაუოკებელი მოქმედება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ახალ უფლებებში, რაც უფრო მეტ ოფიციალურ აღიარებას მიიღებს ეს სამართლიანი პროცესი, მით უფრო მეტად წამოიწევს და წინა პლანზე დადგება საქართველოს რესპუბლიკის მსოფლიო სტრუქტურებში ჩართვისა და ბუნებრივი არსებობა-განვითარების საკითხები.

ეხლავე ცხადია, რომ საქართველოს ჩართვა და არსებობა მსოფლიო მიმართებებში არ იქნება ერთსახოვანი და მარტივი, არცთუ უმტკივნეულო. მსოფლიო სტრუქტურებში შესვლა საქართველოსათვის მოიტანს ახალ პრობლემებს, ახალ მოთხოვნებს, შეგვძენს ახალ სივრცეებს, მოკლედ ახლებურად გაგვაცნობს სამყაროს და ჩვენსავე თავსაც ჩვენთვის მანამდე უცნობი კუთხეებით დაგვანახებს. მოცემული რთული პროცესისათვის არ იქნება უცხო გარკვეული წინააღმდეგობები, როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის გარეთ, ოღონდაც წინასწარი პროგნოზირებით მხოლოდ დასაძლევი, გადასალახავი დაპირისპირებებია მოსალოდნელი. ამის საფუძველს გვაძლევს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე ის ნაკადი, რომელიც, ჩვენის აზრით, გამოკვეთავს მომავალი საერთაშორისო პოლიტიკის სტრატეგიულ კურსს და მალე მისი ამოსავალი ქვაკუთხედიც გახდება. ეს ნაკადი დაემყარება „პარალელური დიპლომატიის" იმ პოლიტიკურ ხაზს, რომელიც უკვე შემოგვთავაზა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. „პარალელური დიპლომატიის" კურსი არ უნდა იყოს შემთხვევითი და ნაუცბათევად შემუშავებული. იგი წინასწარ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ „პარალელური დიპლომატიის" კოზირი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ისე მოულოდნელად იქნა წარმოდგენილი რუსეთის მოდერნიზებული იმპერიისათვის, რომ საპირისპირო სვლის გაკეთება რატომღაც დააგვიანდა კიდეც.

როდესაც მოსკოვში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში მოეწყო შეხვედრა, რომელიც სწორედ „პარალელური დიპლომატიის" ნათელი დადასტურება გახლდათ, კრემლი საგონებელში ჩავარდა, რადგან დარწმუნებულს ცენტრისათვის მხარდაჭერაში, გარკვეული ფსიქოლოგიური შეგუების მექანიზმიც კი გამოუმუშავდა — მსოფლიო მოწინავე ქვეყნები ცენტრისკენ იხრებიან, ვიდრე რესპუბლიკებისაკენ, მათ აწყობთ საბჭოთა კავშირის შენარჩუნება, განახლებულის, გაჰუმანურებულის, მაგრამ მაინც კავშირის ვინაიდან ახალი სახელმწიფოების შექმნას და მასთან დაკავშირებულ ახალ პრობლემებს მოერიდებიან.

საქმე ისაა, რომ ასეთი ვარაუდის ილუზიაც ამ მოწინავე ქვეყნებმა შექმნეს აშშ-ს ლიდერობით. მსოფლიო მოწინავე ქვეყნების დიპლომი, მათი მიმდინარე პოლიტიკური კურსი შეიცავდა ღრმა ქვეტექსტებს და მრავალ, ერთი შეხედვით, დაფარულ ნიუანსებს, რომელთა არსებობა ნაწილობრივ უკვე ნათელყო და წამოსწია „პარალელური დიპლომატიის" ამოქმედებამ პრაქტიკულ ქმედებებში.

თუ დაფარული ჰქონდა და ქვეტექსტებით მოქმედებდა, მაშინ რატომღა ამჟღავნებს უკვე, განა ასე გულუბრყვილონი არიან ეს მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსები? იკითხავს ზოგიერთი. მთავარი სწორედ ისაა, რომ ახლა ნაწილობრივ გამომჟღავნების დროც დადგა, რადგან საკმაო საფუძველია ამისათვის შექმნილი. მთავარი ისაა, რომ დაიშალა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რუსეთის იმპერიამ გამოეცალა ის იდეოლოგია და მსოფლმხედველობრივი საფუძველი, რომელსაც ერთხანს ეფექტურად იყენებდა კიდეც. ვეებერთელა საბჭოთა იმპერია მძიმე ეკონომიკურ კრიზისში ჩარჩა. ასე, რომ მას ეკონომიკური ძირებიც ხელიდან ეცლება. ირღვევა იმპერიის სამხედრო სისტემაც, ბზარი შეეპარა რუსეთის სამხედრო ძლიერების მითსაც. ამას ადასტურებენ ჯერ ავღანეთში, ხოლო შემდეგ ერაყში მიმდინარე ამბები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის „იარაღმა" მარცხი განიცადა, როგორც ავღანეთში, ასევე ერაყშიც. ამასთან, რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის შეიარაღებულმა ძალებმა დიდი მორალურ-პოლიტიკური დამარცხებები განიცადეს თბილისში, 1989 წ. 9 აპრილს, ბაქოში, 1990 წლის იანვარში და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, 1991 წლის იანვარში. ამ შეტაკებებმა მშვიდობიან, უიარაღო, თავისი რესპუბლიკებისა და ერების თავისუფლებისათვის მებრძოლ მოსახლეობასთან, საბოლოოდ სახელი და ავტორიტეტი გაუფუჭა რუსულ, ან რაც იგივეა საბჭოთა, იარაღს მსოფლიო მასშტაბით, რაც არანაკლები მნიშვნელობის ფაქტია. მაშასადამე, მოდერნიზებული იმპერია განიცდის დიდ ზნეობრივ კრიზისსაც, რაც მასობრივ ამორალურობაში გამოიხატება და მრავალ ადამიანს მომავლის რწმენას უკარგავს, ანდა დადებითი ღირებულებებისადმი უარყოფითად განაწყობს. აი, ყოველივე ამას ემყარება მოწინავე ქვეყნების პოლიტიკა და მათ შორის აშშ-ს „პარალელური დიპლომატიაც". მაგრამ, ყველაზე მთავარი მოცემულ პოლიტიკურ ხაზში ისაა, რომ „პარალელური დიპლომატი" ეფუძნება ანექსირებული რესპუბლიკების აქტიურ ბრძოლას კრემლის კოლონიზატორული და მზაკვრული ქმედებების წინააღმდეგ და ეს ბრძოლა შინაგანია, გარედან არაა თავს მოხვეული. რუსეთის მიერ ანექსირებული რესპუბლიკები იბრძვიან თავიანთი შინაგანი სულისკვეთებიდან გამომდინარე და გამოხატავენ თავიანთი ერების ნებას. ის სტრუქტურული ცვლილებები, რომლებიც ამ „შეუპოვარ" რესპუბლიკებში მიმდინარეობს, გამოხატავენ, იმპერიის მიერ ჩაგრული, ჩაგრული ერების ნება-სურვილს და მიმართულია სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ. რუსეთის იმპერიის „პოლიტიკოსები", მათზე დაქვემდებარებული იმპერიული საინფორმაციო საშუალებები ვეღარ დაადანაშაულებენ აშშ-ს და მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები ჩვენს საშინაო საქმეებში ერევიან, ანდა რესპუბლიკების საშინაო საქმეებში ერევიანო. „პარალელური დიპლომატია", მისი არსი და მომავალიც სწორედ ანექსირებული რესპუბლიკების დიდ შინაგან ძალისხმევაზე და აქტივობაზე აპელირებს.

დასამალი აღარც ისაა, რომ „პარალელური დიპლომატია" აპელირებას აკეთებს იმ „მოკავშირე" რესპუბლიკებზე, რომლებმაც ომი გამოუცხადეს კრემლს, რომელნიც ცალსახად იბრძვიან ცენტრის წინააღმდეგ. აშშ-ს „პარალელური დიპლომატიის" არსია ასეთ რესპუბლიკებთან დაამყაროს პირდაპირი, უშუალო კონტაქტები ცენტრის ჩაურევლად. ეს კი, მოსკოვის დამპყრობლური პოლიტიკისადმი ლახვარის ჩაცემის ტოლფასია. შინაგანი ძალებით მებრძოლ „შეუპოვარ" რესპუბლიკებს კი სათანადო პოლიტიკური კლიმატი შეექმნებათ, რათა სრულად, ძალდაუტანებლად, გარედან ჩარევის გარეშე გამოხატოს თავიანთი მოსახლეობის, თავიანთი ხალხის ნება.

ცხადია, „პარალელური დიპლომატია" აგრძელებს ურთიერთობას ცენტრთან, რადგან არც აქ სურს შინაგან საქმეებში ჩარევისა. დაე რუსეთის იმპერიაში მცხოვრებმა ხალხებმა და უპირველესად თავად რუსმა ხალხმა გამოხატოს თავისი სულისკვეთება და დამოუკიდებლობა თანამედროვე რუსული მმართველი სისტემის წინაღმდეგ.

„პარალელური დიპლომატია" გულისხმობს „შეუპოვარი" რესპუბლიკების თანდათანობით გაძლიერებას დამოუკიდებლობის კუთხით, დიახ, ცენტრთან მებრძოლმა რესპუბლიკებმა უნდა შექმნან თავიანთი შინაგანი ჯარები, ეროვნული გვარდიების სახით, თავიანთი იდეოლოგია, რომელიც მსოფლიო სტრუქტურებს გაითვალისწინებს და მსოფლიო მიმართებებისკენ იქნება მიმართული, ეროვნული თვითმყოფადობის დაცვით. „შეუპოვარმა" რესპუბლიკებმა დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა აწარმოონ და გამოვიდნენ ცენტრის დაქვემდებარებიდან. „პარალელური დიპლომატია" შექმნის შესაბამის პირობებს იმისათვის, რომ კრემლმა ველარ გაბედოს უხეში ჩარევა თვითგამორკვევის გზაზე მდგარი ერების საშინაო ვითარებაში. ამის მაგალითს ხომ მას აშშ აძლევს.

კუვეიტის განთავისუფლებამაც უფრო გამოკვეთა „პარალელური დიპლომატიის" რეალურობა და პერსპექტიულობაც. თითქოს ყველაფერი კრიალოსანივითაა აწყობილი. თავიდან ცენტრს უჭერდნენ მხარს მოწინავე სახელმწიფოები და თვით ამერიკის შეერთებული შტატებიც. ისინი დადებითად გამოეხმაურნენ ე. წ. საბჭოთა კავშირში გამოცხადებულ გარდაქმნის პოლიტიკას, რომელიც, როგორც ისტორიის მსვლელობამ ნათლად აჩვენა, მათვე აიძულეს. „განახლების" ტალღა მოედო უკვე ძირმომპალ იმპერიას, მაგრამ ეს განახლება არა ძველის შენარჩუნებისკენ იყო მიმართული, არამედ მისი მთლიანად რღვევისაკენ. როდესაც ეს უკვე ცხადად გამოჩნდა, მაშინვე დაიწყო „დიქტატორული" სვლები, პრეზიდენტობის ინსტიტუტის შემოტანის ცდა, რომელიც ისევე კრახით დასრულდა, როგორც თავად გარდაქმნის პოლიტიკა, რადგან ეს გარდაქმნა ფაქტობრივად აღმოჩნდა რღვევის, დაშლის ხელშემწყობი. ამ კუთხით, ე. ი. იმპერიის შინაგანი დაშლისა და მოსპობის თვალსაზრისით მან დიდი როლიც კი ითამაშა. ასე, რომ გარდაქმნის გარეგნული ფასადი სხვა იყო და მისი ქვეტექსტი, რომელიც მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ღრმა პოლიტიკური კურსიდან მოდიოდა, სხვა.

დაშლის პროცესში თავი იჩინა და დიდი მნიშვნელობაც შეიძინა ეროვნულმა პრობლემამ. ანექსირებული ქვეყნები აცნობიერებენ თავიანთ დაპყრობილ მდგომარეობას და მასობრივად იწყებენ ბრძოლას დამოუკიდებლობის აღდგენა-დამკვიდრებისათვის. აშშ და სხვა ძლიერი ქვეყნები თითქოს ყურადღებას არ აქცევენ ამ პროცესს, შემდეგ აკრიტიკებენ კიდეც, იცავენ ცენტრს. ღი ყველაფერი ხდება იმისათვის, რომ წინა პლანზე წამოიწიოს შინაგანი ძალები, რომ მებრძოლ რესპუბლიკებს გამოუმუშავდეს საკუთარი ღირსების თავისი თავის თავადვე დაცვის გრძნობები და ამან რეალური, სახიერი გამოხატულება მიიღოს. დასამალი არაა რომ დამონებულმა მდგომარეობამ დაპყრობილ „მოკავშირე" ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც დაამკვიდრეს მონური ფსიქოლოგია, შიში რუსული ძალისადმი და აქედან სხვაზე დამყარების განწყობა. დახმარება შესაძლოა ძლიერსაც დასჭირდეს, მაგრამ, საარსებო საკითხებს მაინც თავად შინაგანი ძალებით უნდა წყვეტდე. აშშ-ს და სხვა მსოფლიო ქვეყნების „უყურადღებობამ" ჩვენი რეაქცია გამოიწვია, რაც გამოვლინდა ეროვნული თვითმყოფადობის მასობრივ გამოხატვაში. ჩვენ მივბრუნდით უკან, გადავხედეთ ჩვენს გმირულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ისტორიას, ამასობაში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამაც დიდი მასშტაბები მიიღო. არავინ არ დარჩა გულგრილი. ეროვნულმა საკითხმა ყველა მოიცვა. ყველას გაუღვიძა ეროვნული გრძნობები და აღდგა დიდი ნდობა დაკარგულის დაბრუნებისა და დამკვიდრებისა. ეს დაკარგული კი სახელმწიფოებრივი სტატუსის ხელშეუხებლობაა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მთელი მექანიზმით — თავისი არმიით, ეკონომიკით, დიპლომატიით, მიმართებებით სხვა ქვეყნებთან. ეს დაკარგული მსოფლიო სტრუქტურებში ადგილის მონახვა და დამკვიდრებაა.

ასეთ ვითარებაში, როცა ერი უკვე ცხადად ავლენს თავის მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ, ერთადერთი დამპყრობლის ინსტინქტი ძალით დააკავაოს, ძალით ყავდეს მორჩილებაში. იქმნება საშიშროება შეიარაღებული ჩარევისა. მაგრამ, მსოფლიო სტრუქტურებში იმპერია შესულია, როგორც ერთი ქვეყანა, როგორც ერთი ერთეული. ის გაიძახის — ჩემს საშინაო საქმეებში არავინ ჩაერიოს, მე ჩემს შინაგან წესრიგს ვამყარებო. და ხდება სამხედრო თავდასხმები, „საბჭოთა მამულის" შენარჩუნების მიზნით ნაციონალურ რესპუბლიკებზე, უხეში ჩარევა მათ საშინაო საქმეებში. ეს მოქმედებანი უფრო ამჟღავნებენ „მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს" არსს და ზრახვებს და უფრო მეტად იწვევენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამასობრივებას და გაძლიერებასაც. ზოგიერთი რესპუბლიკა უკვე აშკარად გამოდის ცენტრის წინააღმდეგ, მათ უერთდებიან სხვებიც. შედეგი: ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, მოლდავეთი, საქართველო, სომხეთი აშკარად ადგებიან დამოუკიდებლობის აღდგენის გზას მთელი რიგი რეალური მოქმედებებით.

ყოველივე ამის მერე, აშშ-ს და მოწინავე სახელმწიფოების პოლიტიკური „სიმპატიები" „შეუპოვარი" რესპუბლიკების მხარეზე გადმოდის, და აცხადებენ მათთან ურთიერთობის საჭიროებას პირდაპირი ხაზებით, ოღონდაც არც ცენტრთან გაწყვეტენ კავშირებს, რადგან შინაგანი ბრძოლა ჯერ არ დაგვირგვინებულა.

ყველაზე დიდი პოლიტიკური „სიმპატია" დაიმსახურა მშვიდობიანმა ბრძოლამ, რომელიც მიუხედავად ამისა შეუპოვარია და ძლიერი, იგი ჯდება საერთაშორისო სამართლებრივ ფორმებში. ეროვნული თვითგამორკვევის ნება ხორციელდება მშვიდობიანი გზით. ესე ხდება ბალტიისპირეთში. ასე მიმდინარეობს ჭეშმარიტი ოპოზიციური ბრძოლა საქართველოში.

რესპუბლიკებში იქმნებიან პარტიები, პოლიტიკური ბლოკები. დღის წესრიგში დგება კომუნისტური რეჟიმის დამხობის საკითხი. კომუნისტური რეჟიმი ხომ რუსეთის მზაკვარი იმპერიის თანამედროვე, მოდერნიზებული სახეა და ვიდრე რუსეთი ახალ მოდერნიზებულ ვარიანტს შეასხამს ხორცს საჭიროა უკვე არსებულის მოსპობა, რათა შემდეგში არც ახალი მოდერნიზაცია იქნეს დაშვებული. მშვიდობიანი გზით არჩევნების შედეგად კომუნისტური რეჟიმი ემხობა ბალტიისპირეთში, სომხეთში. ხელისუფლების სათავეში მოდიან ყოფილი დისიდენტები, ეროვნული მოძრაობის აქტივისტები. ისინი უკვე პირდაპირ ებრძვიან გამოაშკარავებულ მტერს — რუსეთის იმპერიას. უშუალოდ ებრძვიან. ყოველგვარი ადგილობრივი, მოსყიდული კომუნისტური რეჟიმების გარეშე. იმპერიის ისტორიაში პირველი მრავალპარტიული არჩევნები ეწყობა საქართველოში, რომლის შედეგადაც რესპუბლიკის ხელისუფლებას ეუფლებიან ეროვნული ძალები. ქართველი ერის ნებას გამოხატავს ახლად არჩეული პარლამენტი და მისი თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია, რომელიც აშკარად და შეუპოვრად უპირისპირდება ცენტრს, დიდ წინააღმდეგობას უწევს მას და აქტიური ქმედებებით იმტკიცებს მოპოვებულ პოზიციებს.

„შეუპოვარი" რესპუბლიკები უარს ამბობენ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, არ აწერენ მასზე ხელს, აჩერებენ ე. წ. პრეზიდენტის კანონებს და ბრძანებებს საკუთარ ტერიტორიებზე. კრემლი მათ ებრძვის ინტერფრონტებით, მაგრამ ეს უფრო მეტ რეაქციას იწვევს ეროვნულ ძალებში და ისინი აქტიურებენ თავიანთ მოქმედებას ცენტრის წინააღმდეგ. მაშინ, კრემლი შინაგანი უთანხმოების სირთულეებს ეყრდნობა და თავისი აგენტებით ცდილობს შენიღბულად შეცვალოს ეროვნული მოძრაობები რესპუბლიკებში. მხილებისა და გამოაშკარავების გზით ეს ფანდიც ვერ იღებს კრემლისათვის სასურველ შედეგს. სადაც ინტერფრონტი ვერ იკიდებს ფეხს იქ ეროვნულ კონფლიქტებს იყენებს ცენტრი, მაგრამ ამით აჩქარებს ეროვნული თვითგამორკვევის პროცესებს, რომელიც ბოლოს და ბოლოს კრემლის საწინააღმდეგოდ მიიმართება.

აშშ და სხვა მოწინავე ქვეყნები დიდი იმედებით აღვსილნი ემზადებიან „პარალელური დიპლომატიის" კურსის გატარებისათვის. ამ დროს კი ცხადდება საკავშირო რეფერენდუმი, რომელიც კვლავ ხავსს ეჭიდება და მოჩვენებითი ფანდებით სურს იმპერიის შენარჩუნება. ამას აშკარად ხედავენ უცხოეთის ქვეყნები. რეფერენდუმს „შეუპოვარი" რესპუბლიკები ოფიციალურად არ ატარებენ საკუთარ რეგიონებში, აშკარა ხდება საბჭოთა, იმპერიული რეფერენდუმის სიყალბე და არასამართლებრივი ხასიათი. ირღვევა ელემენტარული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რომელიც უცხოეთისათვის აშკარად თვალშისაცემი ხდება.

შემთხვევითი არაა ისიც, რომ ე. წ. საბჭოთა „რეფერენდუმის" ეს სიყალბე და უკანონობა მოსალოდნელი იყო აშშ-ის მოწინავე პოლიტიკურ წრეებში. შემთხვევითი არც ისაა, რომ სწორედ ამ ცრუ რეფერენდუმამდე, 15 მარტს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი შეხვდა „შეუპოვარი" რესპუბლიკების წარმომადგენლებს და მათ შორის დღეისათვის ყველაზე შეუპოვარს ბატონ ზვიად გამსახურდიას, რომელიც უკვე ოფიციალურად გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას. ჯეიმს ბეიკერი ყურადღებით უსმენს „შეუპოვართა" წარგზავნილებს, ესაუბრება ზვიად გამსახურდიას და მას საქართველოს რესპუბლიკაში ოფიციალურ ვიზიტად ჩასვლაზე თანხმობას უცხადებს. ეს კი „პარალელური დიპლომატიის" რეალური გეზია.

მომავალში სავარაუდოა, რომ „პარალელური დიპლომატია" მთლიანად რესპუბლიკებისაკენ გადმოიხრება და ამით დააჩქარებს მათი თვითგამორკვევისა და თავისუფლების დაგვირგვინების პროცესს. ეს გადმოხრა განხორციელდება კვლავ და კვლავ შინაგან საქმეებში ჩაურევლად, რადგან „შეუპოვარმა" რესპუბლიკებმა და მათ შორის საქართველომაც ბოლომდე სწორედ თავისი შინაგანი ძალებით განახორციელოს თავისივე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და დამკვიდრებაც.

დიდ იმედებს სახავს ადგილობრივი რეფერენდუმების ტრადიციის შექმნაც, რომელიც ღრმა საფუძველს უქმნის „პარალელური დიპლომატიის" წარმატებით განხორციელებას. ბალტიისპირეთში მომხდარმა რეფერენდუმებმა, რომელიც ეძღვნებოდა მათივე დამოუკიდებლობის პრობლემებს წარმატებით ჩაიარა. დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხებს მიეძღვნება სხვა ადგილობრივი რეფერენდუმებიც, რომლებიც სხვა „შეუპოვარ" რესპუბლიკებში ტარდება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია 31 მარტის რეფერენდუმი საქართველოს რესპუბლიკაში, რომელიც ჩვენი ეროვნული თვითგამორკვევისა და თვითმყოფადობის გამოვლენის საქმეში უდიდეს როლს ითამაშებს. ცნობილია, რომ 1918 წ. 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეული, რომელსაც მთელი მსოფლიო აღიარებს. რუსეთის იმპერიის მოძველებული სისტემა დანგრეულია, სურთ შექმნან ახალი. ამ ბრძოლაში, რომელიც იმპერიის შენარჩუნებას ემსახურებოდა მოდერნიზაციის სახით, გაიჭყლიტა დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც ფაქტობრივად კვლავ იქნა ანექსირებული, ხოლო იურიდიულად დღესაც უფლებამოსილია. სწორედ 26 მაისის დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობას ეხებოდა 31 მარტის რეფერენდუმი, რომელიც საეტაპოა ჩვენი ეროვნული მოძრაობის პროცესში.

მოცემული რეფერენდუმი უფრო მეტად გაამყარებს იმ შინაგან მდგომარეობას, რომელსაც დაემყარება „პარალელური დიპლომატია" მის შემდგომ განვითარებაში.

„პარალელური დიპლომატია" დიდ იმედებს სახავს მსოფლიო სტრუქტურებში „შეუპოვარი" რესპუბლიკებისა და მათ შორის საქართველოს ჩართვისა. ამისათვის აუცილებელია ერთიანი კავკასიური კავშირების შექმნა, რომელიც პოლიტიკური თვალსაზრისით მომგებიანი იქნება „პარალელური დიპლომატიის" წარმატებული განხორციელებისათვის და განვითარებისათვის. ამიტომაც არ იყო შემთხვევითი საქართველოს პარლამენტის მეთაურის მიმართვა კავკასიელი ხალხებისადმი, რომელიც შინაგანად გულისხმობს რუსეთის პოლიტიკის კრახს ამ რეგიონში.

ერთიანი კავკასიური კავშირების შექმნა თავისებური საფუძველი იქნება, რათა თანდათანობით მოგვარდეს ის კონფლიქტური სიტუაციები, რომლებიც მხოლოდ ცენტრს, კრემლს ემსახურებიან. მოსალოდნელია, რომ კავკასიური კავშირების გაძლიერება და ერთიანი კავკასიური ბლოკის ჩამოყალიბება ბოლოს მოუღებს, როგორც ყარაბახის, ასევე ე. წ. სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის პრობლემასაც. მსოფლიო აშკარად დაინახავს, რომ კრემლი აწარმოებს ომს კავკასიის წინააღმდეგ მისთვის ჩვეული მანერით, რომელიც მისივე იმპერიული სულიდან მოდის, ერთმანეთს მიუსიოს კავკასიელი ერები და ხალხები და ერთურთის ხელით დაამარცხოს ისინი. ამდენად, კავკასიური ბლოკის შექმნა მთლიანად გამოააშკარავებს მოსკოვის მზაკვრულ პოლიტიკას, ამასთან შექმნის მტკიცე საფუძველს იმისათვის, რომ შედარებითი სტაბილურობა დამკვიდრდეს ამ რეგიონში პრაქტიკული თვალსაზრისით. ეს კი დიდ კოზირებს გამოაცლის დამპყრობლობის გზაზე მდგარ კრემლს, ხოლო „შეუპოვარ" რესპუბლიკებს უფრო მეტად გააძლიერებს. კავკასიური ბლოკი, ბალტიისპირულ ბლოკთან ერთად მტკიცე შინაგან გარანტიებს შექმნის „პარალელური დიპლომატიის" ჩვენთვის სასურველ რეგისტრში წარმართვისათვის.

ერთიანი კავკასიური პოლიტიკური ბლოკის ფორმირება გამოკვეთავს იმპერიული პოლიტიკის კრახს კავკასიაში და ხელს შეუწყობს კავკასიელი ხალხების განთავისუფლებას რუსული ჭირისგან".

„პარალელური დიპლომატიის" შინაგანი სულისკვეთება იმასაც გულისხმობს, რომ საჭიროა საბოლოოდ მოვიხმოთ რუსეთისადმი მონური დამორჩილების ფსიქოლოგია, დამოუკიდებლად არსებობის „შიშის" გრძნობა. სწორედ რუსეთის იმპერიამ ჩანერგა ჩვენში ის მონური და შიშით სავსე განწყობები, რომელიც ხელს გვიშლის ჩვენივე შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში. გვეშინია ომის; გვეშინია აღმოსავლეთის სამყაროსი, განსაკუთრებით თურქეთის და ირანის; გვეშინია რისკის. არადა ეს რისკი აუცილებელია თავისუფლების დაბრუნებისათვის, დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ, რომ დღეისათვის ჩვენი შიში თურქეთის მიმართ, „შიში" ირანის მიმართ, „შიში" დამოუკიდებლად არსებობის, რისკისა და ბრძოლის მიმართ, რუსეთის მზაკვარ იმპერიას აწყობს და მის წისქვილზე ასხამს წყალს. დიახ, სწორედ რუსულმა პოლიტიკამ მოგვწყვიტა აღმოსავლეთის სამყაროს და არც ევროპას დაგვაკავშირა. სწორედ რუსეთის მზაკვრულმა დიპლომატიამ მოგვწყვიტა ზღვას, მსოფლიო პოლიტიკას და ამოგვიღო მსოფლიო სტრუქტურებიდან.

საქართველომ უნდა გაჭრას ფანჯარა აღმოსავლეთისაკენ. ჩვენ მჭიდრო კონტაქტები უნდა დავამყაროთ, როგორც თურქეთთან, ისე ირანთან. გამოვიყენოთ ისტორიული წარსული, ისტორიული ტრადიციები. საქართველომ უნდა გაჭრას ფანჯარა ევროპისაკენ და ეს მოხდება შავი ზღვის დაბრუნებით.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისგან განსხვავებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა გვაიძულებს დავიბრუნოთ ჩვენი წარსული ტრადიციები აღმოსავლეთთან, ცხადია სრული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნებით. ეს მდგომარეობა გვაიძულებს ხელი შევუწყოთ ერთიანი კავკასიური ბლოკის შექმნას, რომელიც იქნება უხიფათო ზონა მსოფლიოსათვის და რომლის არსებობა შევა, როგორც რუსეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ ინტერესებში.

დღეს რუსეთს უძნელს შეჩვეულის, დაპყრობილის დათმობა, მაგრამ მომავალი დაგვანახებს, რომ თავად რუსეთისათვისაც ხელსაყრელი იქნება კავკასიური ბუფერის არსებობა, რომელიც მის საზღვრებს ბუნებრივად დაიცავს აღმოსავლეთისაგან. ასევე აღმოსავლეთისთვისაც კავკასიური ბუფერი დიდ როლს ითამაშებს რუსეთისაგან თავდაცვის საქმეში.

აღსანიშნავია ისიც, რომ კავკასიური ბლოკის არსებობა და მასში საქართველოს „ლომის წილი" შინაგანად გულისხმობს მის სრულ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გარანტიებით უნდა სარგებლობდეს, ცხადია, ყველა კავკასიური ერი და ხალხი.

მსოფლიო პოლიტიკოსებისაც მომგებიანი იქნება ისეთი ზონის გაჩენა, რომელიც მშვიდობიანი კურსის გამტარებელი იქნება და ერთგულად ემსახურება ჰუმანურ იდეებს. სწორედ ასეთი უნდა გახდეს კავკასიური ზონა, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი რეგიონი, მსოფლიო სტრუქტურებში ბუნებრივად შემავალი.

ზურაბ გაგნიძე

ვინ ვინ არის

„არიულად შეუპოვრად და ენერგიულად..."

ცენტრალური გაზეთები მოიარა ცხინვალის თეატრში გადაღებულმა ფოტოსურათმა, რომელზედაც ბოთლებით სავსე მაგიდაა იქვე მიდგმულ სკამზე გადაკიდებული სვასტიკიანი ფრენჩის ფონზე. გადაღებულ ფოტოსურათს სხვადასხვაგვარი მინაწერი ახლდა, რომელთა საერთო აზრი ის არის, რომ ამ ფრენჩს, თურმე, ქართველი „ბოევიკები" იზომებდნენ. იგივე ფრენჩი ლენინგრადელი ტელევიზიის მუშაკების „დოკუმენტურ" ფილმში გამოჩნდა, რომელიც 1 აპრილს აჩვენა ცენტრალურმა ტელევიზიამ. ორივე შემთხვევაში მიზანი ნათელი იყო —, დაარწმუნონ ფართო აუდიტორია, რომ ქართველები ფაშისტები არიან და სწორედ ნაცისტური მეთოდით ებრძვიან „მშვიდობიან" ოსებს. საქმე რომ მორიგ პროპაგანდისტულ ხრიკთან გვაქვს, ამას, ვფიქრობ, დიდი ფიცი-მტკიცი არ უნდა. ნიშანდობლივია ერთი რამ: როგორც ჩანს, ცენტრში ზოგ იდეოლოგს ფანტაზია აღარ ჰყოფნის და გაცვეთილ მეთოდებს იყენებს. ბოლო ხანს ფაშისტებად ნათლავენ საქართველოს და ბალტიისპირეთის ქვეყნების ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ყოვლად უსაფუძვლოდ (სამწუხაროდ, ზოგი შინაურიც ასევე იქცევა).

ამ წერილში ოსი ბანდიტების, მართლაც რომ, ფაშისტურ მეთოდებზე მსჯელობას არ ვაპირებ. ეს ფაქტები ისედაც კარგად არის ცნობილი. ჩემი მიზანი სულ სხვაა: მკითხველს ვუჩვენო, თუ როგორ ნერგავდნენ ფაშიზმთან ახლო მდგომ იდეოლოგიას ოსი „ეროვნულ-ინტერნაციონალისტი" ლიდერები. ამისთვის ბევრი ძიება არც არის საჭირო. საკმარისია გადავხედოთ შარშან აგვისტოში დაბეჭდილ გაზეთს „არიაგ მონ", რომელიც უკვე სათაურიდანვე იქცევს ყურადღებას და ოსურად „არიულ სულს" ნიშნავს. დიახ, სწორედ „არიულ სულს"! სწორედ ამ სულის დანერგვას ისახავს მიზნად აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული უზარმაზარი სტატია «Размышления, навеянные новой книгой об истоках христианства, изданной в Ватикане», რომელსაც ხელს აწერს „ალანური ქრისტიანული მისია". სტატიიდან არ ჩანს, სათაურში რა წიგნი იგულისხმება, მაგრამ ავტორთა დიდმპყრობელური ამბიციები კი თვალში საცემია, თუმც ამის დაფარვას ძალიან ცდილობენ.

ბატონ „მისიონერებს" მადა მართლაც შესაშური აქვთ, ისინი არც კი კადრულობენ დაასაბუთონ, რომ შიდა ქართლი ან ინგუშთა მიწა-წყლის 46 პროცენტი, რომელიც დღეს მათი საჯიჯგნი გამხდარა, უხსოვარი დროიდან „ოსური მიწაა". ეს საკითხი აშკარად გადაწყვეტილი ჰგონიათ, ამიტომ მათი მზერა კავკასიის გარეთ არის მიპყრობილი. „თეორიული გამოკვლევა" იწყება იმის აღნიშვნით, რომ ოსები კავკასიელ ალანებს, „დასავლეთისა და აღმოსავლეთის არიელთა ჯაჭვის ღირსეულ რგოლს" შეადგენენ. ამგვარი თავის ქების შემდეგ, „მისიონერები" ამტკიცებენ, ქრისტეს დაბადებამდე ისრაელის ჩრდილოეთი ნაწილი, გალილეა სკვითებმა დაიპყრეს და ებრაელები გააარიელესო. სკვითები კი, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ოსები ყოფილან. გალოსების ოდესღაც გალილეაში მკვიდრობაც წყალგაუვალი ჭეშმარიტებაა. „მისიონერები" წერენ: „ისრაელი ხალხის ჩრდილოურ განშტოებათა სახელები, როგორიც არის ასირი, მახირი, დანი, იოლად ითარგმნება ოსური ენიდან, სკვით-ალანთა ენიდან. საკუთარი თავის აღმნიშვნელი სახელი „ირ" ჩვენ დრომდე შემორჩათ ოსებსა და ირლანდიელებს..." ე. ი. ამაოდ დამშვრალან აღმოსავლეთმცოდნე ენათმეცნიერები ძველი ებრაული ენის საკვლევად, მათ ჯერაც ვერ შეუგნიათ, რომ ისრაელის ტოპონიმიკის შესასწავლად ებრაული კი არა, ოსური უნდა ისწავლონ. „სწავლულმა მისიონერებმა" უკვე გაარკვიეს, რომ, თურმე, ტერმინი „აზია" იგივეა, რაც ოსთა აღმნიშვნელი სახელი. ამით, რა თქმა უნდა, აზიაც ოსებს დაუმტკიცეს. დარჩა ევროპა, რომელიც ასევე ოსებისა ყოფილა. არ გჯერათ? თქვენი ნებაა! ავტორები კი სრულიად სერიოზულად განაგრძობენ: „გალილეის ტოპონიმიკა თითქმის უეჭველს ხდის, რომ ეს სკვით-ალანთა (ე. ი. ოსების! — თ. გ.) სამკვიდროა: ავდონი, მადონი, სიდონი, წმიდა მდინარე იორდანი (ირიდონი). ამ და სხვა მაგალითებს თითქოს გადავყავართ თანამედროვე ოსეთში (შიდა ქართლიც ოსეთია — თ. გ.), ბრიტანეთსა თუ სკანდინავიაში". სხვა ციტატა იმავე „გამოკვლევიდან", სადაც აშკარად ჩანს ოსების „თავდაპირველი საბინადროს" საზღვრები. აი, ისიც: „...პალესტინიდან ბრიტანეთამდე... გაბნეულია ოსური ეთნოსი, რომელმაც აღავსო საკუთარი სულიერების მცხუნვარებით ეს მიწა და ჰაერი". გამოდის, რომ სულ ამაოდ ჰგონებიათ ევროპელ და აზიელ ხალხებს, ჩვენსავე მიწებზე ვცხოვრობთო. მთელი ევროპა და აზია ოსების „სამკვიდრო", სხვები კი მათი მდგმურები ყოფილან. მოვა დრო, გაგვისწორდებიან „მისიონერები" ჯერ ქართველებს, შემდეგ ინგუშებს, მერე კი მოდებიან წითელი დროშებითა და ლენინ-გორბაჩოვ-ლუკიანოვის პორტრეტებით ნახევარ მსოფლიოს და მოარჯულებენ ურჩ ხალხებს, დაამკვიდრებენ არიულ სახელმწიფოს რუსი და გერმანელი იმპერიალისტების გამოცდილების საფუძველზე.

ამ „დიად მომავალზე" მსჯელობით გართულს, კინაღამ გამომრჩა ახალი აღმოჩენა! „მისიონერებს" დაუდგენიათ, რომ ღვთისმშობელი მარიამი, თურმე ნუ იტყვით, სკვითი, ე. ი. ოსი ყოფილა. მათვე გაარკვიეს შემდეგიც: „უფლის თორმეტი მოციქულიდან, თერთმეტი გალილეველი, ისრაელი სკვითი იყო. იუდეველი ყოფილა ერთადერთი იუდა ისკარიოტელი, რომელმაც მოძღვარი გასცა, გალილეველ სკვითთაგან წარმოშობით განისაზღვრება, თუ რატომ იყო სკვითთა მოციქული უფლის უპირველეს მოციქულთაგანი სკვითი ანდრია პირველწოდებული".

იუდას და ებრაელების ხსენებამ „მისიონერებს", ჰიტლერისა არ იყოს, ფრიდრიხ დიდი ბარბაროსა მოაგონა.

ჰიტლერის მსგავსად, ოსი „მისიონერები" ბარბაროსას ქება-დიდებასთან ერთად არიულობის თეორიასაც შემოქმედებითად ითვისებენ და პროპაგანდასაც უწევენ, თუმცა ისიც იციან, რომ ფაშიზმის აშკარა ქება ამჟამად არც ისე სარფიანია. ამიტომ ამჯობინებენ ცალყბად დაგმონ ფაშიზმი, თუმც მათგან იდეურად ნაწრთობი „ნიხასელები" აღარ ერიდებიან ადამიანთა ცოცხლად დაწვას, დაჭრილისათვის ჭრილობაში თოკის გაყრასა და ისე თრევას, რასაც ფაშისტებიც კი არ კადრულობდნენ. ისინი დახოცილთ წვავდნენ კრემატორიუმებში. ოსების არიელობის მტკიცებასთან ერთად გაკვრით თეთრ რასაზეც არის ლაპარაკი, მაგრამ ოსტატური შეფარვით. „მისიონერთა" სიტყვით: „ჩვენ, ოსები, ეთნიკური არიელები ვართ, რომელთა საკუთარი სახელწოდებაც — „ირონ", პირდაპირ მომდინარეობს ძველი „არიანა"-სგან, ჩვენ სხვა არიელებზე მეტად ვითრგუნებით არიულობის იდეის იმ დისკრედიტაციის გამო, რომელიც გერმანული ფაშიზმის ბრალით მოხდა. მაგრამ ფაშიზმი არ არის ეთნიკური ინდიკატორი, იგი იყო და ახლაც არის დამახასიათებელი მრავალი ხალხისთვის, მათ შორის თეთრი რასის ფარგლებს გარეთაც". აქ ავტორები პირდაპირ არ ამბობენ, თუ რატომ „ითრგუნებიან" მაინცდამაინც ოსები გერმანული ფაშიზმის გამო. განა არიელები არ არიან საერთოდ, სლავები, რომანული მოდგმის ხალხები, ბალტიელები, ინდოელები, ირანული ჯგუფის სხვა ხალხები? რატომ მაინცდამაინც ოსი არიელები გრძნობენ თავს დაჩაგრულად? ვინ დაჩაგრა გერმანელ ფაშისტთა ძმები ასე უწყალოდ? ნუთუ ქართველებმა და ინგუშებმა? კი, მაგრამ აქვე არა ჰყავთ კბილებამდე შეიარაღებული „ბოევიკები". ნამუსზე ხელაღებულ დედაკაცთა მებრძოლი რაზმები, რომლებიც სისასტიკით მამაკაცებს არ ჩამოუვარდებიან? აქვე არა ჰყავთ „პამიატელი" დიდი ძმები, რომლებმაც ამასწინათ დახვედს უმცროს ძმებს და გამხნევეს, „ხარაში გრუზია ბეზ გრუზინოვ"? აკი თვით „მისიონერებიც" საუკუნო ძმობას და ერთობას ჰპირდებიან რუსებსაც და გერმანელებსაც (გერმანელებს, ალბათ, იმიტომ, რომ იმედი აქვთ, ნაცისტები კიდევ იქნებიან სადმე და გამოცდილებას გაგვიზიარებენო). სწორედ ამ არიული ერთობისაკენ მოწოდებით ამთავრებენ „ნაშრომს" ავტორები:

„რუსულ-ოსური კავშირი — ეს არის ჩვენი ღირსეული პოლიტიკური თანასწორობის საფუძველი (ალბათ, რუსული იმპერიის ტანკებით გამარჯვებულთა თანასწორობაზეა აქ ლაპარაკი, — თ. გ.). აღდგენილი „ალანურ-ალემანური საზოგადოება" ხელს შეუწყობს ოსურ-გერმანულ კავშირთა რენესანსს... არიულად შეუპოვრად და ენერგიულად...".

ჭეშმარიტად, ძრწოდე, აზიავ! ძრწოდე, ევროპავ! მოდიან „მისიონერი" ალან-ოსები! „მისიონერნო" ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

თეიმურაზ გვანცელაძე

ინტერვიუ

1990 წლის 17 აგვისტოდან 29 ნოემბრამდე აფრიანი ნავით „კოლხეთი“ ჩატარდა იუნესკოს პროგრამით — „აბრეშუმის დიდი გზით — დიალოგის გზით ყოველმხრივი შესწავლა“ — გათვალისწინებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კულტურული ექსპედიცია მარშრუტით: ფოთი-გენუა-ფოთი.

ამ ექსპედიციის ხელმძღვანელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საისტორიო-გეოგრაფიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელს რამაზ რეხვიაშვილს ესაუბრა ჩვენი კორესპონდენტი.

ზურგის ქარი ვუსურვოთ

METECHI
TBILISI

— რამაზ, სამთვიანი ცურვის შემდეგ „კოლხეთმა“ ღუზა ჩაუშვა ფოთში; მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ინფორმაცია გაკრთა პრესასა თუ ტელევიზიაში, საზოგადოება ნაკლებინფორმირებულია თქვენი ექსპედიციის შესახებ. ეს გასაგებიცაა, ამ პერიოდში საქართველოში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა. ასე რომ, უპრიანი იქნება, გაგვარკვიო, რა ხასიათის იყო თქვენი ექსპედიცია.

— 1987 წ. ნოემბერში იუნესკოს XXIV გენერალურმა კონფერენციამ მიიღო ვრცელი პროგრამა — „აბრეშუმის გზის — დიალოგის გზის ყოველმხრივი შესწავლა“. თავდაპირველად პროგრამის ვადა ხუთი წლით განისაზღვრა, მაგრამ მოკლე ხანში „აბრეშუმის დიდი გზის“ პროგრამა ძალზე პოპულარული გახდა მსოფლიოში და 1989 წ. იუნესკოს XXV გენერალურმა კონფერენციამ ამ პროგრამის მოქმედება ათი წლით — 1997 წლის ბოლომდე განსაზღვრა. იგი იუნესკოს ყველაზე დიდი და ყოვლისმომცველი კულტურული პროგრამაა. ჩვენი ექსპედიცია ამ პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი ღონისძიება გახლდათ.

— მართალია, არსებობს დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა „აბრეშუმის გზის“ შესახებ, მაგრამ, კარგი იქნება, თუ მოკლედ გვეტყვი, რას ნიშნავს „აბრეშუმის გზა“. რამ განაპირობა ესოდენ დიდი ინტერესი მისდამი?

— „აბრეშუმის დიდი გზა“ პირობითი სახელია, გასული საუკუნიდან ასე ეძახიან სავაჭრო-საქარავნო და საზღვაო გზას, რომელიც უძველესი დროიდან ერთმანეთთან აკავშირებდა დასავლეთის და აღმოსავლეთის ცივილიზაციებს. იგი იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძველი და შუასაუკუნეების მსოფლიოს ეკონომიკური და კულტურული ხერხემალი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა ამ ორ სამყაროს. ამ გზის გაკონტროლებისკენ სწრაფვა მნიშვნელოვნად განაპირობებდა მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს. განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო ვაჭრობამ შუასაუკუნეებში. გენუელი და ვენეციელი ვაჭრები ხმელთაშუა და შავი ზღვების, კავკასიის, ირანის და შუა აზიის გავლით ჩინეთამდე აღწევდნენ, გაჰქონდათ იქიდან აბრეშუმი, სხვა საქონელი და სწორედ ამ გზით ხდებოდა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა შორის სულიერი და მატერიალური ფასეულობების ურთიერთგაცნობა და გაცვლა. ამ სავაჭრო მაგისტრალის აქტიური ფუნქციონირებით დაინტერესებული იყვნენ როგორც ევროპელები, ისე აზიური ქვეყნების მმართველები, საბაჟო გადასახადები მათი ხაზინის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო. „აბრეშუმის გზას“ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებზეც ის გადიოდა, ვინაიდან ეს ნიშნავდა მათ მსოფლიო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებში ჩართვას.

— თავისთავად იბადება შემდეგი კითხვა:...

— მგონია, რომ ვხვდები მის შინაარსს. შუასაუკუნეებში საქართველო მეაბრეშუმეობის ერთ-ერთი ცენტრი იყო, ქართული აბრეშუმი ძალიან ძვირად ფასობდა მსოფლიო ბაზარზე და ისტორიული ცნობების მიხედვით ჩინურ აბრეშუმზე უფრო ძვირადაც კი და მხოლოდ სპარსულს ჩამოუვარდებოდა თავისი ხარისხით. ჩვენი ქვეყანა სავაჭრო-სატრანზიტო გზაჯვარედინს წარმოადგენდა უძველესი დროიდან. ამ მხრივ არც შუასაუკუნეებში დაუკარგავს საქართველოს მნიშვნელობა. სწორედ საქართველოს გზით ხვდებოდა ევროპაში ირანის და დასავლეთ კასპიისპირეთის აბრეშუმის დიდი ნაწილი. შავი ზღვის ნავსადგურებში თავს იყრიდა საქონელი ჩინეთიდან, შუა აზიიდან, ირანიდან, რომელიც შემდეგ ზღვით მიჰქონდათ ევროპაში. XIII-XV საუკუნეებში ვაჭრობაში წამყვან როლს გენუის და ვენეციის ქალაქ-რესპუბლიკები თამაშობდნენ. გენუელებს სავაჭრო ფაქტორიები გააჩნდათ კონსტანტინოპოლში, ცხუმში შავიზღვისპირა სხვა ქალაქებში და ამიერკავკასიაში. აღნიშნულ პერიოდში, ქართული თუ უცხოენოვანი წყაროების მიხედვით, საქართველოს ძირითად ნავსადგურებს ბათუმი, ფოთი და ცხუმი წარმოადგენდა. მათ შორის მთავარი ფოთი იყო, რომელიც თავისებურ საზღვაო ჭიშკარს წარმოადგენდა. შემდგომში გეოპოლიტიკური ვითარება შეიცვალა და საქართველო „აბრეშუმის გზის“ მიღმა დარჩა, რამაც დაკნინა მისი ფუნქცია მსოფლიო ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესში.

— რა ხასიათისაა და რას ისახავს მიზნად „აბრეშუმის დიდი გზის“ იუნესკოს პროგრამა?

— იუნესკოს აბრეშუმის დიდი გზის“ პროგრამა მეტად მრავალფეროვანია. იგი მიზნად ისახავს „აბრეშუმის გზის“ მარშრუტების დადგენას და სახმელეთო თუ საზღვაო საერთაშორისო ექსპედიციების მოწყობას „აბრეშუმის გზის“ ყველა მონაკვეთზე; ამ ქვეყნების კულტურის, ისტორიის და თანამედროვეობის შესწავლას, რომლებიც ამ გზაზე მდებარეობდნენ, კულტურის ძეგლების აღდგენას და დაცვას, არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობას, სპეციალური ეთნოსოციოლოგიური და ეკოლოგიური გამოკვლევების ჩატარებას, სხვადასხვა ხასიათის გამოფენების მოწყობას. დიდი ყურადღება დაეთმობა „აბრეშუმის გზაზე“ მცხოვრები ხალხების დაახლოებას. დაგეგმილია ტურისტული მარშრუტების და ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა. ამ პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს ორმოცზე მეტი ქვეყანა. ცნობილი ტელეკომპანიები „ბი-ბი-სი“ და „ასახი“ იღებენ ვრცელ კინოსერიალს „აბრეშუმის გზაზე“ მდებარე ქვეყნების კულტურის, ისტორიის და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ისინი აგრეთვე ფართოდ გააშუქებენ ამ პროგრამით გათვალისწინებული ექსპედიციების მუშაობას. დაგეგმილია სამეცნიერო და პოპულარული ატლასების და მონოგრაფიების გამოცემა. ამ პროგრამაში მონაწილე ყველა ქვეყანაში და მათ შორის თბილისში ჩატარდება სამეცნიერო სიმპოზიუმები.

— როგორ ჩაერთო საქართველო ამ პროგრამაში?

— პროგრამა შემუშავდა იუნესკოს წევრი ქვეყნების მიერ. ვინაიდან ჩვენს ინტერესებს იუნესკოში სსრკ-ს წარმომადგენელი იცავს, ბუნებრივია საქართველოში ამის შესახებ შემთხვევით შევიტყვეთ. პროგრამის გაცნობისთანავე, უპირველეს ყოვლისა, დაგვაინტერესა იმან, რომ იუნესკოს მიერ გათვალისწინებულია „აბრეშუმის გზაზე“ მდებარე ქვეყნების კულტურის, ისტორიის და თანამედროვეობის შესახებ სამეცნიერო-პოპულარული ატლასების და სამეცნიერო ენციკლოპედიის გამოცემა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს ისტორიის ინსტიტუტმა თავი ვალდებულად ჩათვალა რუკები და მასალა საქართველოს და კავკასიის შესახებ თვითონ მოემზადებინა და მიეწოდებინა იუნესკოსათვის, რათა ადგილი არ ჰქონოდა საქართველოს ისტორიული საზღვრებისა და სინამდვილის დამახინჯებას, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება. გარდა ამისა, პროგრამით გათვალისწინებულია ფართო კულტურული და სამეცნიერო კონტაქტები, რაც კარგ საშუალებას იძლევა გავარღვიოთ ის საერთაშორისო იზოლაცია, რომელშიც მოგვაქცია იმპერიამ.

იუნესკოს ეს პროგრამა იმდენად მასშტაბურია, რომ მოსკოვში და ზოგს ჩვენთანაც, ეგონათ, თითქოს საქართველო და მისი მეცნიერებათა აკადემია ვერ გაართმევდა თავს დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპედიციების მოწყობასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და სხვა სირთულეებს და პროგრამით გათვალისწინებული გეგმების შესრულებას. ამიტომ საქართველოს ჩართვამ ამ საერთაშორისო ღონისძიებაში ჩვენგან დიდი ძალისხმევა მოითხოვა. უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის წყალობით თავიდან იუნესკოშიც ერთგვარი ეჭვით უყურებდნენ პროგრამის განხორციელებაში ცალკეული რესპუბლიკების დამოუკიდებლად მონაწილეობის შესაძლებლობებს და შიშობდნენ, რომ იუნესკოს ეგიდითა და დროშით ჩატარებული ექსპედიციები წარუმატებლობის შემთხვევაში მათ ავტორიტეტს და პრესტიჟს შელახავდა. ამ გარემოებამ ერთგვარი პრინციპული და მორალური მნიშვნელობაც კი მიანიჭა ჩვენს ექსპედიციას. მე მგონი სუვერენიტეტი მარტო იურიდიული ცნება არაა, იგი ერთგვარი მსოფლაღქმაცაა და ჩვენი რესპუბლიკის ყოველი დამოუკიდებელი ნაბიჯი საერთაშორისო ასპარეზზე განამტკიცებს მას როგორც თავად ჩვენში, ასევე უცხო ქვეყანათა თვალშიც. ამიტომ მინდა უღრმესი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც ირწმუნა ამ საქმის, ჩვენი ძალების და მხარში ამოგვიდგა გეგმების განხორციელებაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ბატონ ანდრია აფაქიძის შუამდგომლობით შეიქმნა სპეციალური რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც მიზნად დაისახა იუნესკოს აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარება. ასევე საორგანიზაციო კომიტეტი შექმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ბატონი როინ მეტრეველი. საქართველოს რესპუბლიკის პროგრამით გათვალისწინებულია სახმელეთო ექსპედიციების მოწყობა, თბილისში დაგეგმილ სამეცნიერო სიმპოზიუმზე უკვე მოგახსენეთ. ნავარაუდევია წიგნების, ბუკლეტების გამოცემა, გამოფენების მოწყობა. პროგრამა ითვალისწინებდა საზღვაო ექსპედიციასაც. დიდად დაგვეხმარა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული იუნესკოს რესპუბლიკური საბჭო, მისი მეშვეობით ჩვენი გეგმების შესახებ ვაცნობეთ ამ პროგრამის საორგანიზაციო კომიტეტს იუნესკოში, რასაც მათი მხრიდან შესაბამისი დაინტერესება მოჰყვა და საქართველოც ჩართული იქნა ამ პროგრამაში.

— ესე იგი თქვენი ექსპედიცია საქართველოს რესპუბლიკის „აბრეშუმის გზასთან“ დაკავშირებული პროგრამის ნაწილი იყო?

— რასაკვირველია. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ეს გახლდათ პირველი, დამოუკიდებელი ქართული ექსპედიცია, რომელიც იუნესკოს ეგიდით გაიმართა.

— გარესამყაროს ყურადღება საქართველოსადმი მხოლოდ „აბრეშუმის გზის“ ისტორიის აღდგენის სურვილია, თუ...

— ისტორიის შესწავლა არასდროს არის თვითმიზანი, წარსულზე დაკვირვება მომავლის განჭვრეტაცაა. ამას უცხოეთშიც ითვალისწინებენ. რუსეთის იმპერიაში და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების ფონზე, თანდათან იზრდება ინტერესი საქართველოსადმი გეოპოლიტიკური თვალსაზრისითაც. საქართველო არის ევროპისა და აზიის გზაშესაყარი. ისტორიულად იგი ერთგვარი გეოგრაფიული და კულტურული ხიდის როლს თამაშობდა ამ ორ სამყაროს შორის. ამან მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საქართველოს ინდივიდუალური კულტურული და ეთნოფსიქოლოგიური სახე, იგი არ ჯდება არც ევროპისა და არც აზიის წარმოდგენაში. ეს არის ჩვენი თვითმყოფობის საფუძველი და დღესაც ალბათ ამაზე დაყრდნობით უნდა გავიაზროთ და განვსაზღვროთ ჩვენი ისტორიული ფუნქცია. ვფიქრობ, რომ საშურია, ჩვენი სპეციფიური გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის გათვალისწინებით შემუშავდეს დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული გეოპოლიტიკური კონცეფცია და შესაბამისი სტრატეგია. ალბათ ქართველ მეცნიერებს და პოლიტიკოსებს დიდი შრომის გაწევა მოუხდებათ, რადგან ჩვენთან გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერება, პრაქტიკულად არ არსებობს და შემთხვევითი არ არის, რომ დღემდე საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურასა და ენციკლოპედიებში იგი განხილულია როგორც იმპერიალისტური ბურჟუაზიის პოლიტიკური დოქტრინა და ბურჟუაზიული, რეაქციული, ფაშისტური კონცეფცია; ხოლო ამ დარგში წამყვანი დასავლეთგერმანული ჟურნალი „ცაიტშრიფტ ფიურ გეოპოლიტიკ“ კი რევანშიზმის და აგრესიის პროპაგანდისტულ ორგანოდ; თუმცა გეოპოლიტიკა იმდენად სერიოზული საკითხია, რომ ცალკე საუბრის თემაა.

— რა მიზანს ისახავდა თქვენი საზღვაო ექსპედიცია?

— წმინდა მეცნიერული ამოცანების გარდა ექსპედიცია მიზნად ისახავდა ზღვის იდეის პოპულარიზაციას საკუთრივ საქართველოში. ამავე დროს, აუცილებელია, ჩვენმა მომავალმა საზღვაო პარტნიორებმა გაიცნონ საქართველო. საქმე ისაა, რომ, მართალია, საქართველო საზღვაო ქვეყანაა, მაგრამ ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ეს ფუნქცია დავკარგეთ და დროთა განმავლობაში ეს ფაქტი დავიწყებას მიეცა. დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი კი, ჩვენის აზრით, მჭიდროდ უკავშირდება შავ ზღვას.

— გამოდის, რომ თქვენი ექსპედიცია გარკვეულწილად საქართველოს დესპანის როლშიც გამოდიოდა.

— შეიძლება ასეც ითქვას, ყოველ შემთხვევაში, ეს არის პირველი შემთხვევა, რომ ხომალდი ქართული დროშით გასცდა შავ ზღვას და ხმელთაშუა ზღვაში გავიდა. ისტორიულად ხმელთაშუა ზღვაში გასასვლელს ჯერ ბიზანტია და მერე თურქეთი გვიკეტავდნენ.

— რამდენადაც ვიცი, დროშას გემზე საკმაოდ განსაზღვრული და ოფიციალური ფუნქცია აკისრია. იგი მიუთითებს, რომელ ქვეყანას ეკუთვნის ხომალდი. თქვენ ფოთიდან გაცურეთ 17 აგვისტოს, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს დროშა ჯერ არ იყო ოფიციალურად აღიარებული.

— ჩვენ ცოტათი გავუსწარით მოვლენებს და ცურვა დავიწყეთ მომავალი, დამოუკიდებელი საქართველოს დროშით, რაც ნიშნავდა, რომ გემი და ექსპედიცია ეკუთვნოდა მხოლოდ საქართველოს. საქართველოს დროშასთან ერთად, აღმართული იყო იუნესკოს დროშა, რის უფლებაც ეძლევა იმ ექსპედიციებს, რომელიც ამ ორგანიზაციის ეგიდით ტარდება. ამას გარდა, გემზე აღიმართებოდა იმ ქვეყნის დროშა, რომლის ტერიტორიულ წყლებშიც ვიმყოფებოდით. ამ წესის შეუსრულებლობა მიიჩნევა მასპინძელი ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვად.

— ქართული დროშის აღმართვასთან დაკავშირებით რაიმე გაუგებრობა ხომ არ შეგხვდათ?

— თურქეთის, საბერძნეთის და იტალიის სასაზღვრო თუ საბაჟო სამსახურებისთვის ცნობილია ყველა საზღვაო სახელმწიფო. დროშაზე თვალის შევლებით ხვდებიან, რომელ ქვეყანას ეკუთვნის გემი. „კოლხეთი“ კი მათ ცოტა აბნევდათ. ერთის მხრივ სამფეროვანი დროშა მიუთითებდა, რომ ასპარეზზე გამოვიდა ახალი საზღვაო ქვეყანა, მაგრამ ოფიციალურ კატალოგში ასეთი დროშა არ ირიცხებოდა. ჩვენ ველოდით ასეთ გაუგებრობებს, მაგრამ შეგნებულად, არ ავარიდეთ მათ თავი. ვუხსნიდით საქმის ვითარებას და უნდა ვთქვა, რომ მათ აკმაყოფილებდათ ჩვენი არგუმენტები. ყოველ შემთხვევაში, გართულებებს ადგილი არ ჰქონია. ნავსადგურებში ყოფნისას უცნობი დროშა ყოველთვის ბადებდა ჩვენი ვინაობის გარკვევის სურვილს და დიდი სითბოთი და სიხარულით ხვდებოდნენ „საზღვაო საძმოში“ ახალი წევრის გამოჩენას. როდესაც ნახავენ მეორე, მესამე და მეათე გემსა თუ იახტას ქართული სახელმწიფო დროშით, ეს მათთვის ბუნებრივი მოვლენა იქნება.

—გისმინოს ღმერთმა, მაგრამ სად არის ეს მეორე და მესამე გემი, მეათეზე რომ არაფერი ვთქვათ?

— რამდენადაც ვიცი უკვე დგას საქართველოს საზღვაო ფლოტის შექმნის საკითხი, ეს მეტად საშური საქმეა, მაგრამ ვიდრე ეს მოხდება, რომ საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს ფლოტმა ქართული დროშით უნდა იცუროს. არ უნდა ვიცადოთ, სანამ ფორმალურად გვცნობენ, მანამდე უნდა დავამკვიდროთ მსოფლიოს ცნობიერებაში სუვერენული საქართველოს ცნება. მით უმეტეს, რომ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს — „ჯეორჯიან შიფინგ კომპანი“-ს კარგად იცნობენ და იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, რაშიც ჩვენც თავად დავრწმუნდით.

— ალბათ, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემოსული გემებისთვისაც სავალდებულო უნდა გახდეს ქართული დროშის აღმართვა.

—ეს მთელ მსოფლიოში აღიარებული წესია, მაგრამ მანამდე ალბათ აუცილებელი გახდება ჩვენი ტერიტორიული წყლების და სახელმწიფო საზღვრების განსაზღვრა და დადგენა.

— სად მოგისწროთ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებამ საქართველოს რესპუბლიკის სიმბოლიკის აღდგენის შესახებ?

— უკანა გზაზე საბერძნეთსა და თურქეთს შორის, სამწუხაროდ, საქართველოს რადიოსადგური იმდენად სუსტია, ჩვენს საზღვრებს გარეთ ეთერში ქართულ სიტყვას ვერ გაიგებ, ასე რომ ყველა ინფორმაციას მხოლოდ უცხოეთის პრესიდან ვიგებდით. უნდა ითქვას, რომ 28 ოქტომბრის არჩევნებს დიდი რეზონანსი ჰქონდა იტალიაშიც, საბერძნეთშიც და თურქეთშიც. ჩვენც, რასაკვირველია, ხელიდან არ ვუშვებდით შესაძლებლობას ოფიციალური თუ არაოფიციალური წრეებისთვის და პრესისთვის გაგვეცნო და მიგვეწოდებინა ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების და ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ.

— მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ეს არის საზღვარგარეთ ეროვნული დროშის ოფიციალურ სიმბოლოდ გამოყენების პირველი შემთხვევა. გამოდის, რომ თქვენი ექსპედიცია და „კოლხეთი“ ყოფილა პირველი მერცხალი, ორი სიტყვა გვითხარი მის შესახებ?

„კოლხეთი“ არის 17 მეტრის სიგრძის, 5 მეტრის სიგანის, 16 ტონა წყალწყვის სპორტული აფრიანი იახტა, ანძა 20 მეტრია. მის ტრიუმში საკმაოდ ვიწროდ ვცხოვრობდით ათი კაცი. იგი ეკუთვნის საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს და მიწერილია ფოთის პორტზე.

— ცნობილია თქვენი მარშრუტი ფოთი-გენუა-ფოთი, მაგრამ ახლა უფრო დაწვრილებით გაგვაცანი ექსპედიციის მიერ გავლილი გზა.

— ჩამოვთვლით მეტნაკლებად მსხვილ ქალაქებს, სადაც შეჩერება მოგვიწია. თურქეთში— ხოფა, ტრაპიზონი, სინოპი, სამსუნი, სტამბოლი; საბერძნეთში — კორინთო, ათენი; იტალიაში — მესინა, კუნძული კაპრი, ნეაპოლი, გენუა; ექსპედიციის რამდენიმე წევრს საქმის გამო მოგვიწია რომში, მილანში და ვენეციაში ჩასვლა. გავიარეთ ექვსი ზღვა: შავი, მარმარილოს, ეგეოსის, იონიის, ლიგურიის, ტირანიის და სამი სრუტე: ბოსფორი, დარდანელი, მესინა და კორინთოს არხი. სულ დავფარეთ 4000 საზღვაო მილი, რაც დაახლოებით 7.200 კილომეტრია. ყველაზე ხანგრძლივად ზედიზედ ექვსი დღე-ღამე ვიყავით ზღვაში. ეს საკმაოდ ბევრია „კოლხეთის“ ტიპის იახტისთვის, რომელსაც განსაზღვრული რაოდენობის [illegible] მარაგის წაღება შეუძლია.

— რამდენ ხანს გაგრძელდა ექსპედიცია?

— სამთვენახევარი, ფოთიდან გავედით 17 აგვისტოს, ფოთში დავბრუნდით 29 ნოემბერს, ისე რომ ვიგემეთ ზაფხულის მზეც და ზამთრის სუსხიც.

— ზღვაზე მოგზაურობა, მითუმეტეს, აფრიანი ნავით გარკვეულ ხიფათთან არის დაკავშირებული. ხომ არ სცილდებოდა თქვენი ღონისძიება გარკვეული რისკის ფარგლებს?

— ჩვენ ექსპედიციას, უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო-კულტურული ხასიათი ჰქონდა. იგი მიზნად არ ისახავდა რაიმე რეკორდების მოხსნას ან დამყარებას. ამ ტიპის ნავებით მოგზაურობა დღეს ძალიან პოპულარულია მთელ მსოფლიოში.

— ამგვარი მოგზაურობა ყველას ხელეწიფება და რაიმე განსაკუთრებული მომზადება არ არის საჭირო?

— არ იქნება სწორი, თუ მკითხველს ჩვენს ექსპედიციაზე გასეირნების შთაბეჭდილება დარჩება. ექსპედიციამ დიდი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალები მოითხოვა. „კოლხეთს“ ზღვა წყნარ ამინდშიც განუწყვეტლივ არყევს, ეს საკმაოდ შემაწუხებელია, გარდა ამისა, იახტას მართვა უნდა, ამიტომ სამ-სამი კაცი გამუდმებით ვმორიგეობდით. დღისით ოთხ საათში ერთხელ ვიცვლებოდით, ღამე — ორ საათში. ზოგჯერ ამინდიც არ გვწყალობდა. ორჯერ მოვყევით ძლიერ შტორმში. გრიგალმა მთლიანად დაგვიხია აფრები და დიდი გაჭირვებით მივაღწიეთ ათენამდე, სადაც მათი დაკერება შევძელით.

— ახლა კი, როცა შეიქმნა გარკვეული შთაბეჭდილება და აზრი ექსპედიციის შესახებ, კარგი იქნება, თუ მის წევრებს გაგვაცნობ.

— დიდი სიამოვნებით. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: პროგრამის სამეცნიერო ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თამაზ ბერაძე, იახტა „კოლხეთის“ კაპიტანი თამაზ ზოიძე, წყალქვეშა არქეოლოგიის მუდმივმოქმედი ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გელა გამყრელიძე, ისტორიის ინსტიტუტის საისტორიო-გეოგრაფიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, თბილისელი და ფოთელი იახტსმენები: კაპიტნის უფროსი თანაშემწე და შტურმანი ნუკრი კიკნაძე, კაპიტნის თანაშემწე ვალიკო ქიტუაშვილი, ბოცმანი ნიკოლოზ ბორზენკო, მესაჭე და ბატალიორი კარლო მოისწრაფიშვილი, მესაჭეები ბახვა გვიჩია, ნუკრი დოლია და მიხეილ იაცენკო, რომელიც ამასთან კოკის მოვალეობას ასრულებდა. ექიმი თეიმურაზ რეხვიაშვილი, კინოოპერატორი გიორგი ხაინდრავა, მხატვარი-არქიტექტორი ზაზა ციციშვილი. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა თქვენი მონა-მორჩილი რამაზ რეხვიაშვილი.

— თუ სწორად ჩავხვდი ეს იყო სამეცნიერო-კულტურული ექსპედიცია, რომელიც კარგ სპორტულ მომზადებას მოითხოვდა.

— შეიძლება ასეც ითქვას; გარდა იმისა, რომ გვქონდა დასვენების მშვენიერი დღეები, მთლიანობაში. ეს იყო საკმაოდ დამქანცველი შრომა. მოგზაურობა ექსტრემალურ პირობებში გვიხდებოდა და ჩვენგან მუდმივ მობილიზებას მოითხოვდა, ამას თან ერთვოდა ჩაკეტილ სივრცეში ათი განსხვავებული ადამიანის ურთიერთშეთავსების ფსიქოლოგიური ფაქტორი, რაც, ხშირ შემთხვევებში, ამგვარი ექსპედიციების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ხდება და ზოგჯერ ტრაგიკულ შედეგებსაც იწვევს. ეკიპაჟის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ფიზიკურადაც და მორალურადაც მზად აღმოჩნდა ამ სიძნელეების დასაძლევად. ექსპედიციის მომზადების პერიოდშიც და მისი მსვლელობისას, ბუნებრივია, წამოიჭრა სხვადასხვა საორგანიზაციო პრობლემა, რაც თან ერთვის ამ ტიპის ღონისძიებებს, მით უმეტეს, თუ ის საზღვარგარეთ ტარდება. ამ მხრივაც შევიძინეთ დიდი გამოცდილება სამომავლოდ.

— კარგი იქნება, თუ ექსპედიციის სამეცნიერო-კულტურულ პროგრამას და ძირითად შედეგებს გაგვაცნობ.

— ჩვენი მიზანი იყო, გაგვევლო „აბრეშუმის დიდი გზის“ საზღვაო მონაკვეთი, რომლითაც ძირითადად გენუელები დადიოდნენ. რადგან ამ ტიპის ექსპედიცია პირველად ეწყობოდა, მას მივანიჭეთ დაზვერვითი ხასიათის ექსპედიციის სტატუსი. ვფიქრობდით მასალის შეგროვებას, გზის გაკვალვას, კონტაქტების დამყარებას მომავალ პარტნიორებთან. გარკვეული სამეცნიერო შედეგი ექსპედიციამ ჯერ კიდევ მოსამზადებელ პერიოდში მოიტანა. ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ქალბატონ უტე ეიზინგერის დახმარებით მივაკვლიეთ ძალზე საინტერესო და უცნობ მასალას საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით. იგი ეკუთვნის ჰოლანდიელ ავტორს და გამოცემულია ნიურნბერგში 1681 წ. ესაა საკმაოდ დაწვრილებითი ჩვენთვის უცნობი აღწერა თავისი რუკებით, საქართველოსი და ირანის ჩრდილოეთი პროვინციებისა. ამ ნაშრომის პირები ჩამოვიტანეთ. საინტერესო მასალები აღმოჩნდა ვენის სომხურ კათოლიკურ მონასტერშიც. თავად მოგზაურობისას შევხვდით სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს სტამბოლის, ანკარის, ათენის, ვენეციის უნივერსიტეტებში. ასევე საქართველოსთვის საინტერესო მასალები ვნახეთ ათენის და გენუის საზღვაო მუზეუმებში. ძალიან შედეგიანი, აღმოჩნდა ათენში გამართული დიდი საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი, რომელშიც ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა და სადაც შევხვდით „აბრეშუმის დიდი გზის“ იუნესკოს მთავარ საორგანიზაციო კომიტეტს. ჩვენს ექსპედიციას სამეცნიერო-კულტურულის გარდა ერთგვარი აქციის ხასიათიც ჰქონდა. მოგზაურობისას ჩვენი ოფიციალური მასპინძელი იყო იმ ქვეყნის იუნესკოს ნაციონალური კომიტეტი, რომელშიც ვიმყოფებოდით. გვქონდა ბევრი საინტერესო შეხვედრა; მოეწყო ოფიციალური მიღებები და შეხვედრები სამთავრობო წრეებთან. მიგვიღეს ტრაპიზონის, სტამბოლის, ათენის, ნეაპოლის და გენუის მერებმა. რომში ოფიციალურ მიღებაზე ვიყავი იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. და კულტურის დეპარტამენტში. ათენში შეხვედრა გვქონდა საბერძნეთის და ომანის სულთანატის კულტურის მინისტრებთან. გვქონდა შეხვედრები საბერძნეთში ჩვენგან წასული პონტოელი ბერძნების საზოგადოებასთან, თურქეთში გვქონდა თბილი შეხვედრები თურქეთის ქართულ და ლაზურ მოსახლეობასთან. საშუალება მოგვეცა დიდი რაოდენობით შეგვეტანა და დაგვერიგებინა მშობლიური წერა-კითხვის შესასწავლი ქართული „დედა-ენები“ თურქული განმარტებებით, რომლებიც უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II გაგვატანა თავისი ლოცვა-კურთხევით. ძალიან დიდი მოთხოვნილებაა საქართველოს ისტორიის წიგნზე თურქულ ენაზე, რისი მომზადებაც ალბათ ქართველი ისტორიკოსების და აღმოსავლეთმცოდნეების ყურადღების საგანი გახდება.

— როგორც ჩანს, თქვენდამი ინტერესი და ყურადღება დიდი იყო და იქაური პრესა თუ გამოეხმაურა თქვენს ექსპედიციას?

— თითქმის ყველა იმ დიდ ქალაქში, სადაც ვჩერდებოდით, ეწყობოდა პრესკონფერენციები. ექსპედიციის მიმდინარეობა საკმაოდ ვრცლად გააშუქეს თურქეთის, საბერძნეთის და იტალიის ტელევიზიებმა, აგრეთვე ამ ქვეყნების ცენტრალურმა გაზეთებმა. ჩვენზე რეპორტაჟი მოამზადა იაპონიის ტელეკომპანია „ასახიმ“. ამას გარდა, ცოტა ღიმილის მომგვრელია, მაგრამ ჩვენი ექსპედიციისადმი მიძღვნილი ვიდეორეპორტაჟი გადაიცა სპეციალური არხით ამერიკის სამხედრო ბაზებისთვის.

— თუ საიდუმლო არ არის, ამერიკელ სამხედროებთან რა შეხების წერტილი გქონდათ?

— ამერიკელებთან კონტაქტი დაუგეგმავი და ჩვენთვისაც საკმაოდ მოულოდნელი იყო. უკანა გზაზე თურქეთში, ქალაქ სინოპში შევჩერდით, თურმე, ამერიკელი სამხედრო ბაზის სიახლოვეს. მათი ერთ-ერთი ფუნქცია შავი ზღვის რეგიონის კონტროლია. საღამოს გვეწვია სტუმარი, გაგვეცნო სამხედრო კორესპონდენტად და გვითხრა, სამხედრო ბაზაზე ძალიან აინტერესებთ ამ გემის სადაურობა, რომელზეც მათთვის უცნობი დროშა ფრიალებსო, როცა შეიტყო საქმის ვითარება, დაინტერესდა, მეორე დღეს გვეწვია ჯგუფთან ერთად და ვიდეორეპორტაჟი მოამზადა.

— რამაზ, ათენის სიმპოზიუმი ახსენე, იგი რასთან დაკავშირებით ჩატარდა?

— როგორც მოგახსენეთ, იუნესკოს მიერ შემუშავებულ „აბრეშუმის დიდი გზის“პროგრამაში ორმოცზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს. ყველა გეგმავს და თავადვე აფინანსებს საზღვაო თუ სახმელეთო ექსპედიციების და სამეცნიერო სიმპოზიუმების ჩატარებას და უთანხმებს მთავარ კომიტეტს, საკუთრივ იუნესკოს მხრივ კი დაიგეგმა ორი დიდი — საზღვაო და სახმელეთო ექსპედიცია. საზღვაო ექსპედიცია დაიწყო 13 ოქტომბერს ვენეციაში და საზეიმოდ დამთავრდა 3 მარტს იაპონიის ქალაქ ოსაკაში. სპეციალურად ამ ექსპედიციისთვის ომანის სულთანმა დაუთმო იუნესკოს თავისი პირადი გემი. ამ მსვლელობაში მონაწილეობას იღებდნენ: სულთნის ოჯახის წევრები, ომანის კულტურის მინისტრი, იუნესკოს მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი და „აბრეშუმის დიდი გზის“ პროგრამაში მონაწილე ყველა ქვეყნის წარმომადგენელი მეცნიერები, რამდენიმე ტელეკომპანიის გადამღები ჯგუფი და ჟურნალისტები. სწორედ ამ ექსპედიციას შევხვდით ათენში, სადაც ისინი ერთი კვირით შეჩერდნენ. ჩატარდა სამეცნიერო სიმპოზიუმი და ოფიციალური და კულტურული შეხვედრები. ამ ღონისძიებებზე მისმა ორგანიზატორებმა ჩვენც მიგვიწვიეს. ათენის სიმპოზიუმზე წავიკითხე მოხსენება საქართველოს კულტურისა და ისტორიის შესახებ და მის როლზე „აბრეშუმის გზასთან“ მიმართებაში. აგრეთვე გავაცანით ჩვენი სამომავლო პროგრამა, რამაც ცხოველი ინტერესი გამოიწვია. იუნესკოს მთავარი საორგანიზაციო კომიტეტმა გამოთქვა სინანული, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებელი პროგრამაც კი გააჩნია, მისი წარმომადგენელი არ მონაწილეობს მათთან ერთად და საბჭოთა კავშირი კი მხოლოდ ერთი, მოსკოველი მეცნიერით იყო წარმოდგენილი. მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს წარმომადგენლის მოწვევის შესახებ ამ მსვლელობაში ჩასართავად. გამოითქვა სურვილი, რომ აუცილებელია მომავალში გამოყენებული იქნას ორმხრივი პირდაპირი კონტაქტები. უნდა ითქვას, რომ საორგანიზაციო კომიტეტთან შეხვედრა სხვა მხრივაც მეტად სასარგებლო აღმოჩნდა ორივე მხარისთვის

— რას გულისხმობთ?

— ახლახან ვთქვი, რომ საკუთრივ იუნესკო ორ დიდ ექსპედიციას აწყობს, საზღვაოს შესახებ უკვე მოგახსენეთ, სახმელეთო კი უნდა დაიწყოს ყირიმში, იგი დასრულდება ჩინეთში. პროგრამაში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები მანქანებით გაივლიან ათასობით კილომეტრს. გზად ჩატარდება სიმპოზიუმები და სამეცნიერო სემინარები. იმედი აქვთ, რომ ეს იქნება საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში. ამ მსვლელობას გააშუქებენ მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიები. ექსპედიციას თან მოჰყვება ჟურნალისტების დიდი ჯგუფი, დიდი ადგილი დაეთმობა მასპინძელი ქვეყნების კულტურას, ისტორიას და თანამედროვე მდგომარეობას, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი კულტურა, ეროვნული პრობლემები და ჩვენთან მიმდინარე პროცესები კიდევ ერთხელ მოექცევა მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. იმისათვის, რომ საბოლოოდ დაეზუსტებინათ და შეესწავლათ ძირითადი ექსპედიციის მარშრუტი, შარშანწინ მოეწყო მცირე მასშტაბის, დაზვერვითი ხასიათის ექსპედიცია. და ძირითადად ექსპედიციას ეს გავლილი მარშრუტი უნდა გაემეორებინა. ყირიმიდან აპირებდნენ საქართველოს და აზერბაიჯანის გავლით შუა აზიაში გადასვლას, მაგრამ მოსკოვმა ჩვენთან არასტაბილური ვითარება მოიმიზეზა და საქართველოში მათ შემოსვლაზე უარი განაცხადა.

ჩვენი მაშინდელი მთავრობაც კმაყოფილი შეხვდა ამ გადაწყვეტილებას, ექსპედიცია თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ დაიყოლიეს და რუსეთის გავლით ჩაიყვანეს კასპიისპირეთში და იქიდან შუა აზიაში. ასე აღმოჩნდა საქართველო მორიგ იზოლაციაში, მაგრამ ზემოთნახსენებ ათენის შეხვედრაზე მიღწეულია წინასწარი შეთანხმება, რომ იუნესკოს ძირითადი სახმელეთო ექსპედიცია ამჯერად საქართველოს გაივლის და თბილისში გაიმართება სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე — „საქართველო და კავკასია როგორც კულტურული ხიდი ევროპასა და აზიას შორის“. საფიქრებელია, რომ ეს თემა გაშუქდება ამჟამად მიმდინარე პროცესებთან მიმართებაშიც და სამეცნიერო ფორუმი ალბათ ერთგვარ პოლიტიკურ დატვირთვასაც მიიღებს.

— თქვენ შეძელით და გვერდი აუარეთ „ყრუ კედელს“... უშუალოდ შეხვდით როგორც იუნესკოს მთავარ კომიტეტს და ცალკეული ქვეყნების იუნესკოს ნაციონალურ კომიტეტების წარმომადგენლებს, სამომავლო გეგმები თუ დასახეთ?

— ძალიან ბევრი და ესეც ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია. უკვე მოგახსენეთ იუნესკოს ძირითადი ექსპედიციის შესახებ, რომელიც გაზაფხულზე საქართველოში ჩამოვა და მას ჩვენი წარმომადგენლებიც შეუერთდებიან. ამას გარდა, მოვილაპარაკეთ საქართველო-თურქეთის, საქართველო-საბერძნეთის, საქართველო-იტალიის და საქართველო-ისრაელის ერთობლივი ექსპედიციების ჩატარებაზე.

— საზღვაო თუ სახმელეთო?

— ძირითადად სახმელეთო. ამას გარდა, როგორც ცნობილია, 1992 წ. სრულდება ხუთასი წელი ამერიკის აღმოჩენიდან. ამასთან დაკავშირებით ეწყობა დიდი დღესასწაული „კოლუმბიანა“, რომელიც საზეიმოდ იხსნება კოლუმბის მშობლიურ ქალაქ გენუაში და მთავრდება ამერიკაში. ეს არის ძალიან დიდი მასშტაბის ღონისძიება, რომელშიც მთელი მსოფლიო მიიღებს მონაწილეობას. თავისთან მიღებისას გენუის მერმა და „კოლუმბიანას“ საორგანიზაციო კომიტეტმა ოფიციალურად მიიწვია წარმომადგენლები საქართველოს რესპუბლიკიდან. „კოლუმბიანას“ პროგრამით გათვალისწინებულია ტრანსატლანტიკური გადაცურვა აფრიანი ნავებით და ამ შეჯიბრებაში ასევე მიიწვიეს ქართველი აფროსნები. გარდა ამისა, ჩამოტანილი გვაქვს მთელი რიგი საინტერესო წინადადებები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება ხსენებულ პროგრამას; მაგალითად იტალიის მხარე გვთავაზობს კომერციული გამოფენების მოწყობას, ჟურნალისტური ჯგუფების გაცვლას, ქართველი და იტალიელი მთასვლელების ერთობლივ ღონისძიებებს და ასე შემდეგ. ჩვენ ყველა წინადადებას წარვუდგენთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიას და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

— რამაზ, ასეთი მასშტაბის ექსპედიციების მოწყობისთვის მხოლოდ ენთუზიაზმი და კეთილი სურვილები არ კმარა. ამჯერად ვინ დაგეხმარათ?

— ექსპედიცია განახორციელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს საზღვაო სანაოსნომ. „კოლხეთი“ მოგზაურობისთვის მოამზადა ფოთის პორტმა, დაგვეხმარა და გარკვეული თანხა გაიღო მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ ამ უწყებების ხელმძღვანელებს. განსაკუთრებული დახმარება გაგვიწია საქართველოს საზღვაო სანაოსნომ, რის გარეშეც ექსპედიცია უბრალოდ ვერ მოეწყობოდა. მან გაიღო საჭირო ვალუტა და ასევე ნავზე დადგა შორი ცურვისთვის აუცილებელი კოსმოსური სანავიგაციო მოწყობილობა. ვსარგებლობ შემთხვევით და საქ. მეცნ. აკადემიისა და ექსპედიციის სახელით მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, პირადად მის ხელმძღვანელს ბატონ ჯემალ ჰილვარიას და ჩვენს მეორე სპონსორს, ავსტრიული ფირმა ABV-ს გენერალურ დირექტორს, ბატონ ლეოპოლდ ბაუზბეკს. მან დააფინანსა ჩვენი ექსპედიციის შესახებ ფილმის გადაღება, აღჭურვა ექსპედიცია ფილმის გადასაღები სათანადო აპარატურით, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით, საექსპედიციო სპეცტანსაცმლით და დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ექსპედიციის წარმატებას.

— რამაზ, რამდენადაც ვიცი, ფინანსური დახმარება გარკვეულ ვალდებულებასაც გულისხმობს.

— მართალი ბრძანდებით. გარდა იმისა, რომ ბატონი ლეოპოლდი საქართველოს გულშემატკივარი და ჩვენში ბევრი კარგი წამოწყების ხელისშემწყობია, ჩვენი ექსპედიცია რეკლამას უწევდა მისი ფირმის მიერ თბილისში აგებულ სასტუმრო „მეტეხს“, რომელიც გუშინ გაიხსნა. იმედია, ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება. ჩაფიქრებული გვაქვს ფილმის გაკეთება ჩვენს ექსპედიციაზე და საქართველოს როლსა და ადგილზე „აბრეშუმის გზაზე“. ექსპედიციის მსვლელობისას გადაღებულია დიდი და საინტერესო მასალა, იმედია ქართველი და ალბათ უცხოელი მაყურებელიც მალე იხილავს ამ სურათს.

—სირთულეებთან შეჭიდებული პატარა აფრიანი ხომალდი, რომელმაც შორი გზა მშვიდობით დალია, საქართველოს ერთგვარი სიმბოლო იყო. საქართველოც ემზადება გრიგალთან საბრძოლველად და ვუსურვოთ... ზურგის ქარი ვუსურვოთ!

* * *

ავტორთა თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება ფერისცვალების დედათა მონასტრის ანგარიშზე.

საზღვარგარეთ

გაფიცვები, კუნძულები და იმპერიის რღვევა

უკვე მე-7 კვირაა მძლავრი საგაფიცვო მოძრაობა მოედო საბჭოთა კავშირს. დონეცკის, კუზბასისა და ვორკუტის მაღაროელებს ბელორუსიის კალიუმის მადნის, მაღაროელებმა მიბაძეს. უახლოეს დროში მინსკის საგაფიცვო კომიტეტი, რომელიც ყველაზე ორგანიზებულ კომიტეტად ითვლება კავშირში, საერთო ბელორუსიული გაფიცვისაკენ მოუწოდებს მოსახლეობას. გაიფიცნენ სვერდლოვსკისა და ჩელიაბინსკის ფაბრიკა-ქარხნების მუშები. კიევის საქალაქო ტრანსპორტი პარალიზებულია. 16 აპრილს, ერთდღიანი გამაფრთხილებელი გაფიცვა მოაწყო კიევის 12 ქარხანამ, მათ შორის ქარხანა-გიგანტმა „ლენინურმა სამჭედლომ", „არსენალმა" და სხვ. ვარაუდობენ, რომ გაფიცვები მთელ უკრაინას მოედება. ხუთდღიანი გამაფრთხილებელი გაფიცვა დაიწყეს ბურიატის მაღაროელებმა. გრძელდება კუზბასელთა გაფიცვა. აქ, 76 მაღაროდან 47 არ მუშაობს. სათბობის მოპოვების ტემპი აპრილში ერთნახევარჯერ ნაკლებია, ვიდრე მარტში, როდესაც დანაკარგებმა ორი მილიონი ტონა ქვანახშირი შეადგინა. ამჟამად იგი სამ მილიონს აღწევს. კუზბასელებს ეკონომიკურად ძალიან გაუჭირდათ. მოულოდნელად მათ დახმარების ხელი გაუწოდა კოოპერატივთა კავშირმა, რომელმაც 100 მილიონი მანეთი გადასცა კუზბასელებს გაფიცვების გასაგრძელებლად. ექსპერტთა გაანგარიშებით ეს თანხა მათ თვენახევარი ეყოფათ, ამასობაში ვარაუდობენ, რომ მეტალურგები და სხვა დარგის მუშაკებიც შეუერთდებიან გაფიცულებს, რაც საშუალებას მისცემთ თავიდან მოიცილონ გორბაჩოვ-პავლოვის მთავრობა.

მარტო აპრილში საბჭოთა ეკონომიკამ 218 მილიონი მანეთი იზარალა, გაჩერდა 542 საწარმო, 100-მდე მაღარო. ბევრი საწარმო ნომინალურად მუშაობს, მხოლოდ მიმდებარე ტერიტორიებს ამარაგებს. 18 აპრილს სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ბელოვმა აღნიშნა, რომ მრეწველობის ყველა დარგის მუშაობა მოშლილია, რის გამოც მიმდინარე წელს ერთიანი ეროვნული პროდუქცია 10 პროცენტით შემცირდა. დარღვეულია სარკინიგზო მიმოსვლა. საქართველოში მიმდინარე რკინიგზელთა და ნავსადგურის მუშაკთა გაფიცვა დიდ ზიანს აყენებს საბჭოთა ეკონომიკას. მისი მიმდინარეობის შესახებ, ცენტრი შეძლებისდაგვარად დუმილს ამჯობინებს, რადგან არ არის გამორიცხული, რომ ქართველ გაფიცულებს სხვა ხაზების რკინიგზელებიც აჰყვნენ, ყოველ შემთხვევაში ოდესაში ამას უკვე მოელიან, ეს კი იმპერიის დიდი ტერიტორიების დადამბლავებას გამოიწვევს. რა თქმა უნდა, უკიდურეს შემთხვევაში კრემლი გაფიცულთა წინააღმდეგ ძალის გამოყენებასა და მთელი კავშირის მასშტაბით, თუ არა, მნიშვნელოვან საგაფიცვო ცენტრებში კომენდანტის საათის შემოღებას შეეცდება, მაგრამ ეს აქცია ძალიან ძვირი დაჯდება და მხოლოდ იმპერიის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განადგურებას დააჩქარებს. ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენი ჯდება კომენდანტის საათის ერთი დღე, მაგრამ დასავლეთის გაანგარიშებით ცნობილი რეზიდენტის იგორ გორდიევსკის მეულის ყოველდღიური თვალთვალი ექვსი წლის განმავლობაში „სუკს" 100 მილიონი მანეთი დაუჯდა, რაც დღეში რამდენიმე ათეულ ათას მანეთს შეადგენს.

კოლონიას ის ხეირი აქვს, რომ მისგან სარგებელი მიიღო. თუ პირიქით ხდება, რაღ გინდა ასეთი კოლონია. ამიტომ გაანებეს თავი კოლონიებს ინგლისმა და სხვა ქვეყნებმა, მაგრამ „რუსული ჩექმის" ფილოსოფიაში ეს ჭეშმარიტება ძნელად იკვლევს გზას. მიუხედავად ამისა, მე-20 საუკუნე მთავრდება და ჩვენც ამიტომ იმედიანად ვართ.

ასეთ რთულ ვითარებაში, როდესაც პრეზიდენტს ქვეყანა მართლაც რომ თავზე ემხობა, იგი იაპონიაში გაემგზავრა, პავლოვმა ლონდონში ამოყო თავი, ლუკიანოვი პარიზს ჩაფრინდა. გორბაჩოვმა ტოკიოში იმ იაპონელ ტყვეთა სია ჩაიტანა, რომლებიც საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპნენ. ამ ფაქტზე მოსკოვი დიდხანს დუმდა, მაგრამ ყველაფერზე დუმილი არ შეიძლება და აი, ჯერი კუნძულებზეც მიდგა. ამ საკითხის განხილვას იაპონია უკვე რამდენიმე ათეული წელია მოითხოვს, მაგრამ უშედეგოდ. შეგახსენებთ მის ისტორიას:

1855 წელს, სიმოდის ხელშეკრულებით კურილიის კუნძულები იაპონიას გადაეცა, ხოლო კამჩატკა რუსეთს. იგივე შეთანხმება მოხდა 1875 წელს სანკტ-პეტერბურგში. ასე იყო 1905 წლის იაპონია-რუსეთის ომის შემდეგ დადებულ შეთანხმებაშიც. მე-2 მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირმა დაიპყრო კურილიის კუნძულები და დღემდე ფლობს მათ. აქედან კუნძულები იტურუპი, კუნაშირი, ხაბომაი და შიკოტანი დავის საგნად იქცა, რადგან კუნძულებიდან 16 ათასი იაპონელი გაასახლეს, ხოლო მათი წინაპრების საფლავები, სალოცავები და სხვა ნაგებობები გაანადგურეს. 1956 წელს, მოსკოვი დათანხმდა იაპონიისათვის გადაეცა 2 კუნძული და ამის შემდეგ მასთან დაედო ზავი, მაგრამ 1960 წელს კუნძულების გადაცემა სტრატეგიული მოსაზრებით გადაიფიქრა. ასე, ღიად მოვიდა ეს საკითხი დღემდე.

საქმეს ისიც ართულებს, რომ კუნძულები რუსეთის ფედერაციაში შედის, ხოლო ელცინი მისი გადაცემის წინააღმდეგია. ყოველ შემთხვევაში, გორბაჩოვმა იაპონიაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევიც წაიყვანა. ტოკიოში გორბაჩოვის სტუმრობა დიდ შეშფოთებას იწვევს შორეული აღმოსავლეთის შეიარაღებული ძალების სარდლობაშიც. ისინი აქამდე გორბაჩოვის ერთგული გენერლები იყვნენ. საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც რამდენიმე წლის წინ გერმანელმა ყმაწვილმა მათიას რუსტმა ფინეთიდან გაარღვია მანამდე შეუვალი საბჭოთა საჰაერო თავდაცვის სისტემა და პატარა სპორტული თვითმფრინავი წითელ მოედანზე, ბელადის მავზოლეუმის მახლობლად დასვა, გორბაჩოვმა ასეთი სამარცხვინო მარცხისთვის მთელი სამხედრო ხელმძღვანელობა შეცვალა და მათ მაგივრად დააწინაურა შორეული აღმოსავლეთის სარდლობის წარმომადგენლები იაზოვი და ახრომეევი. ახლა ისინი აღშფოთებულები არიან კუნძულების თაობაზე დიალოგის დაწყების მცდელობისათვისაც კი. ადმირალი ხვოსტოვი და გენერალი ნოვოჟილოვი ამტკიცებენ, კუნძულების გადაცემის შემთხვევაში საბჭოთა კავშირი მე-2 ხარისხოვან ქვეყნად იქცევაო. სინამდვილეში კი, კუნძულებზე მხოლოდ 10 ათასი საბჭოთა ჯარისკაცია. ასე რომ, კუნძულების საკითხი რთულად არის. ტოკიოში ჟურნალისტებთან ხანმოკლე შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ტოსიკო კაიფუმ განაცხადა: „მე მივიღე მტკიცე გადაწყვეტილება და ბოლომდე დაჟინებით მოვითხოვ იაპონიისათვის ჩრდილოეთის ტერიტორიათა დაბრუნებას. მე ყველაფერს ვიღონებ, რომ ხორცი შევასხა ამ პრინციპებს". არ არის გამორიცხული, რომ კუნძულებში ტოკიომ სხვადასხვა ფორმებით მოსკოვს დიდძალი თანხა შესთავაზოს. ასახელებენ კიდევაც ციფრს 30 მილიარდ დოლარს. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ სწორი აღმოჩნდება ცნობილი მეწარმე და მილიონერი არტემ ტარასოვი, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ საჯაროდ განაცხადა, კუნძულები ფულზე იყიდებაო, რის გამოც პრეზიდენტმა გორბაჩოვმა მას როგორც ცილისმწამებელს სასამართლოში უჩივლა.

რაც შეეხება საბჭოთა წინადადებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვითარების სტაბილიზაციის შესახებ, ამას იაპონელები ფრთხილად უყურებენ, რადგან ამ რეგიონში საბჭოეთმა ევროპული ნაწილიდან უკვე გადაიყვანა 80-ათასიანი ჯარი და მძიმე საბრძოლო ტექნიკა.

არც ვაჭრობის მომავალია პერსპექტიული. დადებული 14 ხელშეკრულებიდან ძნელად რომ რომელიმე განხორციელდეს, რადგან სავაჭრო ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის ბოლო ხანებში კლებულობს. მოსკოვს უკვე 500-600 მილიონი დოლარი ვალი აქვს იაპონელებისა, ამიტომ ეს უკანასკნელნი ყოყმანობენ თანხმობა განაცხადონ იაკუტიის გაზის საბადოებისა და ციმბირის ზოგიერთი რეგიონის ათვისებაზე. იაპონელები არაორაზროვნად მოითხოვენ, რომ მათთვის მთავარია კუნძულების დაბრუნება და შემდეგ სხვა დანარჩენი.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მომენტი. თუკი მოსკოვი ბოლოს და ბოლოს, და ეს აუცილებლად ასე მოხდება, ტოკიოს კუნძულებს გადასცემს, ეს ფაქტი მეტად საგულისხმო პრეცედენტი იქნება საბჭოთა იმპერიისათვის. მისი შინაგანი რღვევა ხომ სახეზეა, დაიწყება გარეგანი რღვევაც. შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩინეთი უფრო ენერგიულად წამოაყენებს თავის პრეტენზიებს ხაბაროვსკისა და ბლაგოვეშჩენსკის მიმართ. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის უდავო ფაქტი, რომ ეროფეი ხაბაროვმა ყაჩაღურად დაიპყრო ამურის ქვემო წელში მცხოვრები აჩანები, შემდეგ კი მდინარე ოლეკმაზე გავიდა და დაიპყრო დაურები, დააარსა სამხედრო სიმაგრე, რომელსაც შემდეგ ხაბაროვსკი უწოდეს. ორივე ხალხი ჩინური მოდგმისანი იყვნენ. კალინინგრადში გერმანელ ტურისტთა გასაკვირად აქ მაცხოვრებელი რუსები კედლებზე აწერენ „ადოლფ გაიღვიძე, უკვე დროა". კალინინგრადი ყოფილი პრუსიის დედაქალაქი კენიგსბერგია და სრულიადაც არ იქნება გასაკვირი, თუ მის გადაცემაზეც ან გაყიდვაზეც დაიწყებენ საუბარს. ვინც ყოფილა ლვოვის ლეშაკავეცკის სასაფლაოზე, მიხვდება, თუ როგორი ღრმა ისტორიული ძაფებითაა დაკავშირებული ეს მხარე პოლონეთთან, ისევე როგორც ე. წ. დასავლეთი ბელორუსია. ადრე თუ გვიან, ბესარაბიაც რუმინეთს შეუერთდება. შემდეგ დაიწყება ტერიტორიული დავა მოკავშირე და უკვე გამოყოფილ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის, რაც საბოლოოდ დაამხობს კრემლის ტოტალიტარულ სახელმწიფოს, რის შედეგადაც მსოფლიო ძალიან ახლოს მივა საერთაშორისო ყოვლისმომცველ მშვიდობასთან.

გურამ სიხარულიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" პოლიტიკური მიმომხილველი.



სურათზე: კუნძულები, რომლის უკან დაბრუნებასაც იაპონელები მოითხოვენ.

გარდაიცვალა 77 კაცი

ეკვადორის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა პლუტარკო ნარანხომ ხუთშაბათს განაცხადა, მონაწილეობას ვერ მივიღებ თათბირში, რომელიც 20 აპრილს უნდა გაიმართოს სუკრეში (ბოლივია) ანდის ჯგუფის წევრი ქვეყნების ინიციატივით, რათა განიხილოს ლათინურ ამერიკაში გავრცელებულ ქოლერის ეპიდემიასთან ბრძოლის სასწრაფო ღონისძიებათა განხორციელების საკითხი. ეკვადორის წარმომადგენელი იქნება მინისტრის მოადგილე. ეფეს სააგენტო კიტოდან იუწყება, რომ ეს განცხადება გაკეთდა უცხოეთის პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს.

თვით პ. ნარანხო კი მას შემდეგ, რაც 24 თებერვალს ქვეყანაში აღირიცხა ქოლერით დაავადების პირველი შემთხვევა, პირადად ხელმძღვანელობს ყველა ღონისძიებას, რათა შეაჩეროს დაავადების შემდგომი გავრცელება. მან 21 პროვინციიდან ცხრა უკვე მოიცვა. საავადმყოფოებში იმყოფება 250-ზე მეტი კაცი. ქოლერა ყველაზე მეტად გავრცელდა ქალაქ-ნავსადგურ გუაიაკილში. ეკვადორის საზღვაო გზით გასაყვანი ადამიანები და გასაზიდი ტვირთი შეიძლება დაავადების შემდგომი გავრცელების წყარო გახდეს. სულ ქვეყანაში ქოლერით გარდაიცვალა 77 კაცი.

რამდენიმე სტრიქონით

ტიბეტიდან გაქცეულმა დალაი ლამამ მოუწოდა შეერთებულ შტატებს ჩინეთთან ურთიერთობის გაღრმავების შემთხვევაში გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ამ ქვეყანაში ირღვევა პიროვნების უფლება-მოვალეობანი.

პრეზიდენტი გორბაჩოვი იაპონიის შემდეგ ეწვევა სამხრეთ კორეას. ვარაუდობენ, რომ მოსკოვი სეულს სესხს სთხოვს, სამაგიეროდ დაჰპირდება მას გახდეს გაეროს წევრი.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი ისრაელში შეხვდა იცხაკ შამირსა და თავდაცვის მინისტრს დავით ლევის, რათა დააჩქაროს პალესტინელთა პრობლემის გადაჭრა.

გუშინ ტაჯიკეთში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, არის მსხვერპლი.

ირანმა და აზერბაიჯანმა მოილაპარაკეს, რომ ერთობლივად იზრუნონ კასპიის ზღვის აკვატორიის გასუფთავებისათვის.

ქურთმა ლიდერმა ჯალალ ტალაბარიმ მოუწოდა დასავლეთს, ახლოს მიიტანონ გულთან მისი ხალხის გასაჭირი და პროდუქტების გარდა უფრო ქმედითი დახმარება გაუწიონ.

შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი ბრეიდი საუდის არაბეთის ქალაქ ჯიდაში თავის კოლეგას შეხვდა. საუდის არაბეთმა შეერთებულ შტატებს 13 მილიარდი დოლარი უნდა გადაუხადოს ქუვეითის განთავისუფლებისათვის. ელ-რიადმა ნავთობის გაიაფების გამო მცირე ხნით ვალის გადახდის გადავადება ითხოვა.

ინდონეზიის წყლებში იავის კუნძულის მახლობლად ერთმანეთს შეეჯახნენ ტურისტული და მაშველი გემები. ორივე ჩაიძირა, დაიღუპა 37 კაცი, დანარჩენებს ეძებენ.

კანავერალის კოსმოდრომიდან გაშვებული რაკეტა, რომელსაც იაპონური თანამგზავრი გაჰყავდა, 6 წუთის შემდეგ ააფეთქეს, რადგან მე-2 საფეხური არ ამუშავდა. იაპონური თანამგზავრი 100 მილიონი დოლარი ღირდა.

ბრაზილიაში დაიწყო ფართომასშტაბიანი კამპანია სასჯელის უმაღლესი ზომის — სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. მოძრაობას სათავეში ქვეყნის სამღვდელოება ჩაუდგა.

17 აპრილს ვლადიკავკაზში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტის ფოიეში გაიხსნა გამოფენა, რომელიც ასახავს ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მასალას, რომელიც წარმოაჩენს ბელადის „ზრუნვას" ჩრდილოეთ კავკასიის გაწითლებისათვის.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა, რომელიც მცირე ხნით ლუქსემბურგში შეჩერდა, პრესკონფერენციაზე გამოსვლისას აღნიშნა, რომ სადამ ჰუსეინი ერაყის ხელისუფლებას უნდა ჩამოაცილონ. მან მხარი დაუჭირა ჰუსეინის სამართალში მიცემის იდეას, ამავე დროს მიანიშნა, რომ ვაშინგტონი მზად არის დიქტატორს შესაძლებლობა მისცეს ნებაყოფლობით დატოვოს ერაყი და სხვა ქვეყანას შეაფაროს თავი.

ბიბლიოთეკა

გაფიცვა

გაჩერდა თბილისის მექანიკური

დილაადრიან თბილისის მექანიკური ქარხნის ჭიშკართან საწარმოს რამდენიმე მუშა და მოსამსახურე შეიკრიბა. იქვე, შესასვლელთან დაიწყო მიტინგი მთელ რესპუბლიკაში მიმდინარე იმის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციის მხარდასაჭერად, რომ კრემლი ერევა სუვერენული საქართველოს საშინაო საქმეებში. გამოსულებმა მოითხოვეს სამაჩაბლოდან, მთელი რესპუბლიკიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა და მხარი დაუჭირეს რუსეთის დემოკრატიულ ძალებს.

აი, რა თქვა საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ქარხნის საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარემ, ელექტრომონტიორმა მაგული ლიპარტელიანმა:

— დღეს მძიმე ჟამი გვიდგას, და მინდა მოვუწოდო საქართველოს მცხოვრებლებს, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, მხარი დაუჭირონ ჩვენს მოთხოვნებს. ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა იმდენად მატერიალური, რამდენადაც მორალური დახმარება, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მივაღწევთ ჩვენს საერთო გამარჯვებას.

მექანიკურ ქარხანაში, რომელიც სამხედრო ტექნიკას არემონტებს, დღეს 18 ეროვნების ადამიანი მუშაობს. მათ შორის ქართველები, რუსები, სომხები, ოსები. ასეთივე წარმომადგენლობა შეიკრიბა მიტინგზე, რომლის შემდეგ დაიწყო ხელმოწერების შეგროვება გაფიცულთა მოთხოვნებზე.

აქციის მონაწილეებმა გაფიცვის დაწყების შესახებ წერილები გაუგზავნეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, მ. ს. გორბაჩოვსა და ცენტრის სხვა ხელმძღვანელებს.

პაატა არჩვაძე,
საქინფორმის კორ.

სურათებზე: მექანიკური ქარხნის შესასვლელთან მიტინგის დროს; ტანკები ქარხნის ტერიტორიაზე რემონტის მოლოდინში.
ავტორის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

1991 წლის 16 აპრილს შედგა საქენერგოს ენერგოობიექტების საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანებული სხდომა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები.

სხდომამ აირჩია საქართველოს ენერგოსისტემის მთავარი საგაფიცვო კომიტეტი, რომლის განცხადებასაც გთავაზობთ.

საქართველოს ენერგოსისტემის მუშაკთა მთავარი საგაფიცვო კომიტეტის

განცხადება

თბილისი. 1991 წლის 16 აპრილი.

საქართველოს ენერგეტიკოსთა მრავალათასიანი კოლექტივი აცნობიერებს რა შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას, მთლიანად უჭერს მხარს საქართველოში წამოწყებულ აქციას და მის ყველა მოთხოვნას. საქართველოს ენერგეტიკოსები და მისი მთავარი საგაფიცვო კომიტეტი, გამომდინარე აქციის მიერ დასმული ამოცანებიდან, თავის უპირველეს მიზნად მიიჩნევენ უზრუნველყოს რესპუბლიკის მოსახლეობა და მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები ელექტროენერგიით. ამასთან, ვაცხადებთ სრულ მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებების გამოყენებით განვახორციელოთ უმწვავესი, რადიკალური ღონისძიებანი იმ მიზნის მისაღწევად, რომელსაც აქციის ორგანიზატორები ისახავენ.

გამომდინარე არსებული მდგომარეობიდან და დარგის სპეციფიკიდან, ენერგოსისტემის მუშაკთა მთავარი საგაფიცვო კომიტეტი მოუწოდებს ყველა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ცალკეულ პირებსა თუ ჯგუფებს ენერგოსისტემის მუშაკთა მთავარი საგაფიცვო კომიტეტის გარეშე ნუ განახორციელებენ რაიმე აქციას ენერგოობიექტის გამოყენებით, რამეთუ ენერგოსისტემა ერთიანი ურთულესი ორგანიზმია და მასში თვითნებურმა, არაკომპეტენტურმა ჩარევამ შეიძლება შორსმიმავალი ნეგატიური პროცესების განვითარება გამოიწვიოს, რომელიც მტრულმა ძალებმა ჩვენს საწინააღმდეგოდ შეიძლება გამოიყენონ. მხოლოდ ურთიერთთანადგომა, მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნება, ურთიერთშეთანხმებული, კოორდინირებული მოქმედება დაგვეხმარება წარმატებით დავძლიოთ ის სიძნელეები, რომელსაც კრემლი და მასში მოკალათებული იმპერიული ძალები გვიქმნიან თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე.

ჩვენი გამარჯვება ეპოქის მოთხოვნითაა ნაკარნახევი — ჩვენ გავიმარჯვებთ.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

საქართველოს ენერგოსისტემის მუშაკთა მთავარი საგაფიცვო კომიტეტი.

ეროვნული დაუმორჩილებლობა

საგაფიცვო მოძრაობაა ქალაქის ერთ-ერთ დიდ საწარმოში — მაღაროთსამმართველოში. თითქმის ერთი კვირაა, რაც მაღაროელებმა რუსეთის მთელ რიგ ქარხნებს შეუწყვიტეს მათთვის ფრიად საჭირო პროდუქციის მიწოდება. მაღაროთსამმართველოს უფროსმა თეიმურაზ ქილიფთარმა მთელი კოლექტივის სახელით გვითხრა: ოზურგეთელი მაღაროელები ერთგულად იბრძოლებენ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. შეუვალ პროტესტს ვუცხადებთ ძირმომპალი რუსეთის იმპერიის პოლიტიკას, რომლის წყალობით გათამამებული ოსი ექსტრემისტები თავშეუვებულად დათარეშობენ სამაჩაბლოში და თავისი ძირძველი მიწიდან ერეკებიან ქართველობას. პროტესტის ნიშნად შევუწყვიტეთ ტოლიატისა და გორკის საავტომობილო ქარხნებს მათთვის საჭირო სამოტორო ყალიბებისათვის აუცილებელი პროდუქცია — „ბენტონიტური" თიხების მიწოდება, სულ დღემდე (საგაფიცვო პერიოდში) ორი ათას ტონაზე მეტი პროდუქცია უნდა გაგვეგზავნა, მაგრამ არც ერთი კილოგრამი არ მიგვიწოდებია.

ასე გაგრძელდება, სანამ სსრ კავშირის შინაგანი ჯარები არ დატოვებენ სამაჩაბლოს.

ოზურგეთელი მშრომელები, როგორც ერთი კაცი, მხარს უჭერენ მაღაროელთა საგაფიცვო მოძრაობას. რაიონის პრეფექტის მოადგილემ კონსტანტინე შავიშვილმა მშრომელთა სახელით რწმენა გამოთქვა, რომ ჩვენი რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას ერთგულებით აღსავსე ოზურგეთელები ყოველნაირად შეუწყობენ ხელს ამ სამართლიან, საყოველთაო ეროვნულ და სამოქალაქო დაუმორჩილებლობას.

ბეგლარ ჩხაიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

„დილა" გაიფიცა

გორის საწარმოო გაერთიანება „დილა", ანალოგიური ხელსაწყოების საცდელი ქარხანა ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის ფრიად საჭირო პროდუქციას უშვებს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია საბჭოთა კავშირის კვებისა და გადამამუშავებელი, მსუბუქი და ქიმიური მრეწველობის საწარმოების გამართული მუშაობა.

საბჭოეთში ამ ქარხნის პროდუქციის მომხმარებელია 200-მდე ქალაქის 500-ზე მეტი საწარმო.

გორელ ხელსაწყოთმშენებლებს, კალინინგრადიდან მოყოლებული ვიდრე შორეულ აღმოსავლეთამდე, უღალატო და საიმედო პარტნიორებად იცნობენ. აღარაფერს ვამბობთ მათი ნახელავის ხარისხზე.

ამჟამად ხელსაწყოთმშენებელთა მთავარი საამქრო, ისევე, როგორც ქარხნის სხვა საამქროები, უბნები და განყოფილებები, გაჩერებულია, არ მუშაობს. 900-კაციანი კოლექტივი გაიფიცა. მხარში ამოუდგა საქართველოს რესპუბლიკაში სხვა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების და სარკინიგზო კოლექტივებს. გაფიცვის მიზეზი — სამაჩაბლოში ოსი ექსტრემისტების თავგასულობა და საქართველოს ძირძველ მიწაზე „წესრიგის დასაცავად" შემოყვანილი საბჭოთა კავშირის დამსჯელი ჯარების თარეშია.

დიახ, ეს არის გაფიცვის მიზეზი, მაგრამ ამ გაფიცვას თავისი მიზნებიც აქვს — საბჭოთა ჯარები უნდა გავიდნენ სამაჩაბლოდან და დაიკეტოს როკის გვირაბი.

გორელ ხელსაწყოთმშენებლებთან ერთად გაიფიცა ამ გაერთიანების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი, სულ 250 კაცი. მათაც იგივე მოთხოვნები, იგივე მიზნები და ამოცანები აქვთ.

გურამ ვაშაკიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

მეშახტეები მოითხოვენ!

18 აპრილს ტყიბულელ მეშახტეთა სახელით დეპეშა გაეგზავნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიას. მეშახტეები მოითხოვენ, რომ სესიაზე განიხილონ: შეიცვალოს სსრ კავშირის კანონი კოლექტიური შრომის დავის (კონფლიქტის) გადაჭრის გზების შესახებ, რომელიც მიღებულია 1989 წლის 9 ოქტომბერს და რომელსაც ხელს აწერს მიხეილ გორბაჩოვი. ამ კანონს ვთვლით უცხო ქვეყნის კანონად და ჩვენთვის მიუღებლად.

ტყიბულელი მეშახტეები გიცხადებთ სრულ ნდობას, გვეგულეთ თქვენს გვერდით ამ ძნელბედობის ჟამს.

ღმერთი მფარველობდეს სრულიად საქართველოს!

ომარ ფორჩხიძე,
საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე.

მიმართვა

საქართველოს ახალგაზრდობას!

9 აპრილი ჩვენი ერის ისტორიის საამაყო დღეა. მას ახსოვნებს თაობათა ერთობით მსხვერპლად შეწირულთა ზეცად აპრილის სახელები. ამ დღემ მსოფლიოს კვლავ ამცნო ჩვენი ვინაობა, უკანასკნელი იმპერიის მსხვრევა, მან აღმოაცენა უმოკლესი გზა მიზნის მიღწევისაკენ, ერთობის წყურვილი, მტრის გამორჩევის უნარი, საკუთარ ძალთა რწმენა, ღმერთის თანადგომის იმედი, აქედან დაიწყო თავისუფლებისაკენ ჩვენი ღია მსვლელობა.

და მიეცა ამ დღეს თავისი ადგილი უკვდავებაშიც. უზენაესმა ზეცისამ და ერისამ დღე იგი ზეიმად გვიქცია, ცრემლი — სიხარულად. 9 აპრილს განვშორდით საუკუნოვან მონობას, აღდგენილი დამოუკიდებლობა მოუსვენარ განცდად შემოიჭრა ჩვენს ცნობიერებაში და მოულოდნელად პირისპირ დაგვაყენა ერის წარსულისა და მომავლის წინაშე.

თავისუფლების ნატვრით აღსავსე წლები გავიარეთ. დადგა ჟამი და ჭეშმარიტი სარწმუნოებისაკენ მიდრეკილ ჩვენს ქვეყანას, უფალმა ერთმანეთის მიყოლებით ორი აღდგომა გაუთენა — ცრემლიანი აპრილის წიაღშივე დაუდო სათავე საქართველოს უახლესი ისტორიის გაზაფხულს, ერის განახლებულ სიცოცხლეს.

ვართ ისტორიულ მოვლენათა მომსწრენიც და მონაწილენიც — ეს აძლიერებს პასუხისმგებლობას და მატებს ღირსებას ყველას, მით უფრო მამულის მერმისის აღმშენებელ და პატრონ თაობას. ყოველივეს გათვალისწინებით უზუსტესად უნდა განისაზღვროს თითოეულის მოვალეობა.

ჯერ ისევ ომია და ოცნების ახდენისაკენ ძნელად სავალი გზა. მტერს ვამარცხებთ, სისხლსაც ვღვრით მამულისათვის და სასწაულებრივი შედეგები აქვს ჩვენს თავდადებას.

ბრძოლა უტიფარ და ძლიერ მტერთან გვიწევს და ეს გაგრძელდება, ვიდრე ჩვენშივე მის მიერ დანერგილ სიყალბესთან, გულგრილობასთან, უმეცრებასთან, უზნეობასთან ბრძოლასაც არ მოვიგებთ.

ახალგაზრდებო! განკურნებას თითქმის ყველა ვსაჭიროებთ. ჩვენი ჭირი ჩვენი დასათრგუნია. დამოუკიდებელ საქართველოს ღირსეული მოქალაქეები დაამშვენებენ მხოლოდ. დაქვეითებული ღირსების აღდგენას კი, უწინარეს, თქვენი დიდი მოწადინებით უნდა გაეხსნას ასპარეზი.

სამშობლოს — საქართველოს — უჭირს. თამასუქს ნუ მოითხოვთ მისთვის თავდადებისათვის, პირობებს — გამოსწორებისათვის, ყველაფერი: პირობაც და შედეგიც თქვენი საზრუნავია, თქვენი საკეთებელი.

„ეხლა, — იტყოდა ილია, — ვაჟკაცობა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისაო".

შევძლებთ ასეთ გარჯას, ახალი წესით ცხოვრებას?!

ამ კითხვაზე ისტორია იოლად არ გვაპასუხებინებს. გვმართებს დაფიქრება, საკუთარ სულში აღმასვლის გზების ძიება, დროის შესაფერი მოთმინებისა და მონდომების გამოჩენა, სინდისთან გაერთგულება.

ჩვენი ცხოვრების გზა შეიცვალა — მცონარობის, სიყალბის მაგივრად დიად საქმეთა კეთება და გაბედული ნაბიჯების გადადგმა მოგვენდო.

ვიყოთ ღირსნი ამ ნდობისა! ვიცით: „არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე".

დრომ, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მაღალ მოვალეობათა დაკისრებით ყველას დიდი პატივი მოგვაგო. და შენ, იღბლიანო ახალო თაობავ, დაგიდგა ჟამი აღმშენებლობისა და სახელოვან საქმეთა ასპარეზიც 'შენს წინაშეა, ახალგაზრდებო, თქვენი სიცოცხლე, ცოდნა, გარჯა, ერთგულება და პატიოსნება სჭირდება მამულს!

თავისუფლება წმინდაც უნდა იყოს, ლონიერიც, გონიერიც და დოვლათიანიც. აღთქმული ქვეყნის მერმისი, სიმაღლე და სიდიადე თქვენი ცოდნით, ზნეობითა და ღვაწლით განიზომება.

განახლების მოიმედე ჩვენი საზოგადოება ყველაზე მეტად განათლების დაძაბუნებას შემოგვჩივის, მის უხარისხობას არ გვპატიობს.

განათლება ღვთიური ნათლის შემოსვლა და დამკვიდრებაა ადამიანში, მაგრამ გარედან მადლის შესვლა შეუძლებელია, თუ ამ განზრახვას ამაღლებისათვის თქვენი მზაობის შინაგანი სურვილი არ დაახვედრეთ.

გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ სიდუხჭირეში ნივთიერ დახმარებას ვერ დაგპირდებით — ეს, იქნებ, ღვთის ნებაცაა და თქვენი თაობის პრივილეგიაც, რომ გამოცდის ეს ხანა ჩვენი ზნეობისა და გონების გაჯანსაღებას მიეძღვნება.

ქართველი კაცი, თუ არ დაეცა, ზეცამდე შეიძლება ამაღლდეს!

თაობათა თავგანწირვით, სისხლით და შრომით მიღწეულ თავისუფლებას შენარჩუნებაც სჭირდება. უმეცრებით არ უნდა დაგვეკარგოს იგი. ამიტომაც თქვენი წმიდათაწმიდა ვალია შეაღვიძოთ და ქვეყნის სასიკეთოდ მიმართოთ თქვენი ნიჭი და უნარი.

ჩვენი დროის უკეთეს ერისკაცთა განსწავლულობითა და ღვაწლით მოინიშნა საქართველოს მასშტაბები და მიზნები ცივილიზებული მსოფლიოს თვალში. ცოცხალი მაგალითები გვაიმედებს, რომ ქართველ მამულიშვილთა უზადობის ტრადიციას მრავალი გამგრძელებელი ეყოლება საქართველოში.

დამილოცნია ამ გზაზე თქვენი წარმატებული სვლა, საქართველოს ახალგაზრდობავ!

ამაღლდი, გაძლიერდი, გამრავლდი!

ღმერთი ჩვენთანაა და ვიყოთ მისი შეწევნის ღირსნი! ამინ!

ლია ანდღულაძე,
საქართველოს განათლების მინისტრი

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების განცხადება

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებას, როგორც კულტურტრეგერულ, საზოგადოებრივ, თავისუფალ, არაპოლიტიკურ ორგანიზაციას, მიაჩნია, რომ 31 მარტის რეფერენდუმი და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერა რუსთაველის საზოგადოების ყოველ წევრს, საქართველოს ერთგულ ყოველ ადამიანს ახალ კონკრეტულ ამოცანებს უსახავს.

ოცდათერთმეტ მარტს გამოვლენილი ერთიანობით ჩვენ ყოველდღიურად და ყოველწამიერად, გონივრულად და ფრთხილად უნდა ვიღვაწოთ საქართველოს რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, ერის დასაბრუნებლად მისსავე ტრადიციულ ღირებულებებთან.

14 მარტის პრეზიდენტის არჩევნებმა საქართველოს დამოუკიდებელი ქვეყნისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი უცილობელი ნიშანი შესძინა.

მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ დგას საოკუპაციო ჯარი, ჯერ კიდევ იღვრება სისხლი შიდა ქართლში, ჯერ კიდევ საბჭოთა ფული ტრიალებს ჩვენს ბაზარზე, ჯერ კიდევ სოციალისტური ეკონომიკის სისტემაში ვართ, ჯერ კიდევ შებორკილნი ვართ ტოტალიტარული სახელმწიფოს ლოგიკითა და ზნეობით.

როდესაც ეს აღარ იქნება, როდესაც ყოველი ჩვენგანი განთავისუფლდება ყოველივე ამისგან, როდესაც ყოველი ჩვენგანი თავისუფალი პიროვნება გახდება, მხოლოდ მაშინ მოიპოვებს საქართველო ჭეშმარიტ თავისუფლებას.

წერილი რედაქციას

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორს

1991 წლის 7 აპრილის გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" ფურცლებზე დაიბეჭდა ბატონ აკაკი მიქაძის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ მე ვარ ახლადშექმნილი პოლიტიკური ორგანიზაციის „დემოკრატიული ტრიბუნის" წევრი, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ისიც მინდა აღვნიშნო, თავისთავად „დემოკრატიული ტრიბუნის" შექმნა მისასალმებელი ფაქტია. უნდა მოგახსენოთ, რომ არ ვეკუთვნი არც ერთ პარტიას, ვარ საქართველოს „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების" კავშირის წევრი და ყველა ჩემი პუბლიცისტური წერილი თუ გამოსვლა ემსახურება საქართველოს ეროვნული მოძრაობის გამარჯვებას, საქართველოში მცხოვრები ხალხების კონსოლიდაციას და დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფლებას.

ვსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ მთელ საქართველოს თავისუფლების გზაზე გადადგმულ გაბედულ ნაბიჯს — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას!

პატივისცემით
ჯანსუღ ჩარკვიანი.
1991 წ. 9 აპრილი

მთავარი რედაქტორი **მამუკა ფაჩუაშვილი**

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 66484

საქართველოს რესპუბლიკა